№ 2953
პარასკევი,
18 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2953
პარასკევი,
18 ნოემბერი

გაზეთის ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტი, პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანკის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და ა. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-"Моамбе". ტელეფონი № 372

შეკერილ ტანისამოსის
ახლად გახსნილ მაღაზიაში
„ექსელანს" გოლოვინის პროს., ტფილისის საკრებულოს ქვეშ, სახლი მანთაშევისა.
არის

დიდძალი კაცის, ქალის და ბავშვის ტანისამოსი, ფორმის ტანისამოსი ყველა სასწავლებლის და სამოქალაქო დაწესებულებისა. შეიძლება შეკვეთა კაცისა და ქალის ტანისამოსისა. განუწყვეტლივ მოგვდის ყველაფერი, რაც ახალია ბერლინისა, პარიზისა და მოსკოვის სავაჭრო სახლიდან.

მოიპოვება ყოველ გვარი საქონელი საზღვარ-გარეთის და რუსის ქარხნებისა. მთელი მასალა, დამზადებული საკუთარ ქარხანაზე ადესაში, შეძლებას აძლევს „ექსელანს"-ის მაღაზიას მეტად იაფი ფასები დანიშნოს.

საქონლის ყიდვა შეუვაჭრებლად

„ექსელანსის" მაღაზიას სრული იმედი აქვს, რომ ტფილისის პატივცემული საზოგადოება პირადად მობრძანდება და გაიცნობს ყველაფერს. (50—ნ.—31)

„ა ლ ა ზ ა ნ ი"
კახეთის მევენახეთა ამხანაგობამ
დაიწყო ღვინით ვაჭრობა. მიხაილოვის პროსპექტი, სახლი ზურაბოვისა № 116, ტელეფონი 792 (10 9)

ტფილისის სახაზინო თეატრი
სამშაბათს, 1905 წ. 22 ნოემბერს
ქართულ ოპერების მმართველ ამხანაგობის მიერ
დაზარალებულ გურულების სასარგებლოდ
წარმოდგენილი იქნება
I
სევილიელი დალაქი
ოპერა 3 მოქ. და 4 სურათ. მუსიკა როსსინისა, თარგმანი ვ. გუნიასი
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: მიტკევიჩისა, ბაქრაძე; ბ-ნნი: არჩეული, ცხომელიძე, აგასი, კარგარეთელი, ჯაფარიძე, ...იფარიანი.
II
საკონცერტო განყოფილება
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: არციბაშევა კარრი, ბ-ნნი: დონსკოი, კოლოტოვი, ...ოკოლსკი, ევლახოვი, ტომაშევიჩი და ქართული ხორო.
ბილეთების წინდაწინვე ყიდვა შეიძლება „მოზროჟდენიე"-ს რედაქციაში და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზ. კანცელარიაში.

ტფილისის სიფხიზლის საზოგადოება
რკინის გზის თეატრი
...აბათს, 19 ნოემბერს, სახალხო თეატრის სცენის მოყვარეთა მიერ დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება
მეზობლები
დრამა 4 მოქმ. რამიშვილისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი მდივანი, ...ომანიშვილი, ივანაშვილი, შაყულაშვილი, ...გუნავა: ბ-ნნი ურუშაძე, ანანიაშვილი, ხა...ნაშვილი, ჯაბაური, გოცირიძე და სხვანი.
დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.
ბილეთები გაიყიდება პარასკევს 3 საათზე და წარმოდგენის დღეს 5 საათიდან კასსაში.
(2—უ.—1) რეჟისორი ნ. გოცირიძე.

1906 წლის იანვრიდან
დაიწყება გამოცემა ახალ სომხურ ყოველთვიურ სურათებიან ჟურნალ
„მატენაგეტ"-ისა.
თითო ნომერი შეიცავს 48—64 გვერდს.
...ნც დეკემბრის 10-მდის ხელს მოაწერს, ...ეცემა პრემიად სომხური „ლექსიკონი ...ომეხ მწერალთა ბიოგრაფიებისა".
წელიწადში ეღირება 2 მანეთად.
ადრესი: Тифлисъ, Редакція „Матенагетъ", Панасевича ул. № 1.
რედაქტორ-გამომცემელი ჰაიკ ტერ-ასტვაწატურიანცი.
(3—უ—3)

ა. პ. შულგინა-მესხი
გაკვეთილები სოპრანო სიმღერისა, ამზადებს ქართულ ოპერებისთვის და აგრეთვე პრაქტიკული და თეორეტიული გაკვეთილები ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ ენებისა. ვერის დაღმართი № 1 (თვ.)

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისათვის ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი ამით ატყობინებს საზოგადოებას, რომ სწავლა ტფ. ქართველ თავად-აზნაურთა კერძო გიმნაზიაში შეწყვეტილია 1906 წლის იანვრის შვიდამდე. (3—ნ.—3)

კბილის ექიმი
ი. ზ. კ ა ნ დ ე ლ ა კ ი
გადავიდა ახალ ბინაზედ მიხეილის პროსპექტი, № 44, სახლი აბულაძისა.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს, სხამს ახალ ხელოვნურ კბილებს ყოველ გვარ მეთოდზე, დილის 9—2 და საღამოს 5—6 საათამდე. (თვ.—80—32)

ე ქ ი მ ი
მ. პ. ბეზირგანოვი
სიმონოვის ქუჩა № 7. მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—$7^1/_2$ საათ. (თვ.—13)

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა
ტფილისში
მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.
მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი
მ. გ. ალაჯალოვი. 11—12 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ნაწლევების ავადმყოფობა ი.
ი. ნ. ეგიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი; ელექტრონით წამლობა.
პ. ნ. დემიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
გ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. ე. ავეტისოვი. 12—1 ს. კალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. პ. კიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ელჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
პ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებით. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადო პალატას და ცალკე ოთახებს. (150—29)

ე ქ ი მ ი
პ. ა. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი
იღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს დილის 7—8 ს. და 4—7 ს. საღ. აქვე სწარმოებს ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევა.
ადრესი: ელისაბედის ქ. № 160. (16—024—11)

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—$11^1/_2$ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს.
კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი სვანიშვილისა.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ავადმყოფებს ხლებს: დილის 9—2-მდის და საღამოს 5—7-მდის. კვირა-უქმეობით 10—1-მდის.

მედიცინის დოქტორი
მ. ი. მ უ რ ა დ ო ვ ი
ყოფილი ორდინატორი მოსკოვის უნივერსიტეტისა, იღებს სპეციალურად საშარდეს, სიფილისის და კანის სნეულებიან ავადმყოფებს, ყოველ დღე 10 დან—11-მდე და 5-დან 7 საათამდე, რტიშჩევსკის ქ., ს. № 1. ცეცხლის საქრობ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (50—368—28)

ე ქ ი მ ი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
იღებს შინაგან (სპეციალურად ფილტვის) ავადმყოფებს და ბავშვებს. გასინჯვა და მკურნალობა რენტგენის სხივებით. ავადმყოფები მიიღებიან დილით 10—12 ს. საღამოთი 5—7 ს.-მდე. მიხეილის პროსპ. № 154. (თვ.—371—30)

მედიცინის დოქტორმა
გ. ი. გ უ რ გ ე ნ ო ვ მ ა,
შტატის ორდინატორად ნამყოფმა ხარკოვის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკაში, განაახლა საბებიო და ქალის სნეულობით ავადმყოფთა მიღება. დილით 10—12 საათზე, საღამოთი 5—6 საათზე. გოლოვინის პროსპ., სახ. მდივნისა, № 12, საარტისტო საზოგადოების შენობის პირდაპირ. (თვ.—406—24)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.
ავადმყოფთათვის არის ერთი კროვატი.

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 8—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირა საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი, ფოსტის პირდაპირ № 18. (წლ.)

ტფილისი, 18 ნოემბერი.

უკანასკნელი სიმაგრე ინგრევა. „ხიშტი ბევრი რამისათვის არის გამოსადეგი, მაგრამ ხიშტზე ჯდომა შეუძლებელია". გაუგონია როდისმე რუსეთის მთავრობას ეს სიტყვები? ჩაჰკვირვებია როდისმე ამ სიტყვების უბრალო აზრს? ეჭვი არ არის, რომ არა. რუსეთის მთავრობა ძლიერი იყო მხოლოდ და მხოლოდ ხიშტებით. იმას არ შესწევდა ზნეობრივი ძალა, არა ჰქონდა საფუძველი ხალხის სიყვარულსა და ნდობაში, არ შესწევდა პოლიტიკური გამჭრიახობა, არა ჰქონდა გონიერება. ძალმომრეობაზე აღმოცენებული რუსეთის მთავრობა ძალმომრეობით არსებობდა და პირველი და უმთავრესი იმისი ფარხმალი ხიშტი იყო. იმისი სიმაგრე, იმედი, უკანასკნელი სალსარი იყო ხიშტი, ხშირადაც მიმართავდა ხოლმე ამ უებარ წამალს, სასწაულ მოქმედს იარაღს.

მაგრამ რუსეთის მთავრობამ თავის ერთად ერთი იარაღის მოვლაშიაც კი უგნობა გამოიჩინა. კეთილგონიერი კაცი, რასაკვირველია, არაფერს დაზოგავდა და ყოველ გვარად იზრუნავდა, რომ ერთად-ერთი იარაღი ხელიდან არ გამოსცლოდა, ერთად ერთი იმედი არ დაჰკარგოდა. რუსეთის მთავრობამ ეს საანბანო ჭეშმარიტებაც კი ვერ შეიგნო. ძალმომრეობის ეშხით დამთვრალს ეგონა, რომ მფარველი ხიშტი სამუდამოდ ერთგული ეყოლებოდა და წვერი იქით ექნებოდა, საითაც მთავრობა, მისი ბატონი, უბძანებდა.

ძალმომრეობამ მთავრობას ბინდი აკრა თვალებზედ და არ დაანახვა, რომ ხიშტი თავისით არა მუშაობს. ვეღარ შეამჩნევინა, რომ ხიშტი ცოცხალია მხოლოდ ცოცხალ ადამიანის წყალობით. ცოცხალ ადამიანს დაბრმავებული მთავრობა არა ხედავდა. იმის წარმოდგენაში უსულდგმულო ხიშტი და სულდგმული სალდათი გაერთიანდა. იმისთვის ხიშტი და სალდათი მხოლოდ იარაღი იყო, გამოსადეგი გაჭირვებულ მდგომარეობაში. მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ცოცხალი ადამიანი, ხიშტის მპყრი, უსულდგმულო საგნად გაეხადა, ავტომატად გადაექცია, ამოეგლიჯა ყოველივე ადამიანური აზრი და გრძნობა და სრულიად დაემორჩილებინა თვის ნება-ბრძანებისათვის.

მეცადინეობამ ფუჭად არ ჩაუარა: რუსეთის არმია გადაიქცა უზარმაზარ მანქანად, რომელიც მხოლოდ მაშინ მოქმედებდა, როდესაც მმართველნი მოინდომებდნენ. ეს კარგად იცოდა მთავრობამ და არხეინად იყო. არ აშინებდა არც შინაური მტერი და არც გარეული: უზარმაზარი მანქანა, მთავრობის ფიქრით, ერთის ბრძანებით დაიძვრებოდა და გასჭეჭყავდა მტერს. მით უფრო მაგრდებოდა მთავრობის ცნობიერებაში ეს აზრი, რომ არა ერთხელ გაუსინჯნია შინაურ მტერზედ მანქანის მოქმედება. მაგრამ გარეულმა მტერმა შეურყია მაგრად გამჯდარი აზრი: პატარა იაპონიამ მიუმსხვრია მანქანა მაშინ-კი შეშინდა მთავრობა და საჩქაროდ ლაფდამსხმელი ზავი ჩამოაგდო გარეულ მტერთან. ასწავლა ჰკუა მანჯურიის ავანტიურამ?

არა, არ უსწავლებია. რუსეთის მთავრობა კვლავ დაჯდა ხიშტებზედ და ძველებურად მოისურვა ძალმომრეობის გაგრძელება. დღეს მეორე მტერი გამოუჩნდა—მტერი შინაური. ეს მტერი ძველია, არ ახალია რუსეთის მთავრობისათვის, მაგრამ ახალი მტერი ძველს აღარა ჰგავს. ახალი ძლიერია, მრავალრიცხოვანი. ახალი მტერი აღარა ჰგავს ძველს, რომელსაც ადვილად აბნევდა მთავრობა ათიოდე ხიშტის წყალობით. მთავრობა-კი ამას ვერა ჰხედავს. როგორც პირველ თვეებში რუსეთის მთავრობას ეგონა, რომ იაპონელებს ქუდებით ჩაჰქოლავდნენ, ეხლაც ჰგონია, რომ საქმე ძველ შინაურ მტერთან აქვს და ადვილად მოუდრეკს ქედს. დაიმედებულმა გამარჯვებაში, მიმართა ერთგულ იარაღს და ნახა, რომ იარაღი სრულ წესზედ არის და შიში არაფრისა არ ექნება, დაატრიალა ძველებურად ხიშტები, მაგრამ...

დრო გამოიცვალა. განმათავისუფლებელ მოძრაობის მზის სხივებმა შეაშუქეს იქ, სადაც წყვდიადი მეფობდა. ელვარე სხივებმა ნათელი მოჰფინეს სულთამხუთავს ყაზარმებს, ჩააშუქეს ავტომატებად გადაქმნილ სალდათების გულის და სულის სიღრმეში და გამოაღვიძეს ადამიანური გრძნობები. თბილმა სხივებმა გააცოცხლა მიმკვდარებული არსებანი, ადამიანური სენით აალაპარაკა. მიჩვეული „такъ точно-съ", „слушаю-съ" გამოფხიზლდა, შეიგნო, რომ ისიც ადამიანია, და არა უსულდგმულო საგანი, უბრალო იარაღი, რომელსაც იმისთვის ხმარობენ, რისთვისაც მოისურვებენ. სალდათმა თავი მოქალაქედ იცნო და ხმა აიმაღლა, რისხვა და ზიზღი შეუთვალა იმათ, ვინც იმას ადამიანობა წაართვა, გრძნობა-გონება დაუხშო და მისდა უნებურად ჯალათი გახადა.

უკანასკნელი სიმაგრე ინგრევა!

კრონშტადტი, სევასტოპოლი, ვლადივოსტოკი ხმა-მაღლა ღაღადებენ: „უკანასკნელი სიმაგრე ინგრევა!"

რითი შეაყენებს მთავრობა ნგრევას? რითი დაიცავს თავის ერთად-ერთ ფარს, რომელიც მისი უკანასკნელი იმედია? ვის გაჰგზავნის სიმაგრის დასაცველად? აღარავინ დარჩა, აღარავინა ჰყავს, ყველამ დასტოვა, ყველამ ზურგი შეაქცია. ნუ თუ გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ სიმაგრის დანგრევა შეიძლება შეჩერდეს იმგვარ ბრძანებით, როგორიც კავკასიის ნამესტნიკმა გამოსცა: სალდათებმა არავითარი მონაწილეობა არ მიიღონ პოლიტიკურ კრებებსა, მიტინგებსა, კავშირებსა და ორგანიზაციებში; დამნაშავენი სასტიკ პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნიო.

გაცვდა ეს ხერხი, აღარა სჭრის. მთავრობა ვეღარავის შეაშინებს სასტიკ პასუხის გებით. რითი შეაშინებს მთავრობა მორჩილებიდან გამოსულს სალდათებს? ციხით? სიკვდილით? განა ციხე არ იყო, ან ციხეზე უარესი, ის ყაზარმები, სადაც ცოცხალ ადამიანს სულსა და გულს ართმევდნენ? განა ყოველ სალდათს სიკვდილი არა ჰქონდა გადაწყვეტილი? განა ყოველ დღე არ მოელოდა სიკვდილს? დეე სიკვდილით დასაჯონ, ადამიანს მაინც ეცოდინება, რისთვის გამოასალმეს წუთისოფელს; წინად კი არ იცოდა სალდათმა, რად იყო სასიკვდილოდ განწირული.

არა, ვერაფერი ვეღარ დაიჭერს ელვარე სხივებს, რაკი ერთხელ გააპეს სიბნელე და ჩააშუქეს სალდათის გულში!

მაშ გაუმარჯოს ხალხის მომხრე მხედრობას!

საბრალო პრემიერი! 17 ოქტომბრის მანიფესტის გამოსვლის შემდეგ ბევრი რყევა გამოსცადა ახლად დაარსებულმა ცენტრალურმა ორგანომ—მინისტრთა საბჭომ. საბჭო ხან აცხადებს, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტის საფუძვლებს არ გადავცდებით, და თითქოს ამ საფუძვლებისდაგვარად მოქმედებს, ხან კი საქმით სულ სხვას ამტკიცებს და ისეთ განკარგულებებს ახდენს, რომელიც სულ ერთიან აბათილებს მანიფესტის მიერ აღიარებულ ძირითად კანონს. ასე რომ დღემდის გადაწყვეტით ვერ ვიტყვით, აქვს თუ არა საბჭოს პრემიერს, გრ. ვიტტეს აზრად განხორციელება აღიარებულ თავისუფლებების? ან თუ აქვს აზრად, შესწევს თუ არა ამისათვის ძალა?

როგორც ეტყობა, გრ. ვიტტე მოელოდა, რომ მანიფესტის და გრაფის მოხსენების გამოქვეყნებისათანავე საზოგადოება ნდობას გამოუცხადებდა, მაგრამ საზოგადოება უფრო მიხვედრილი და გაბედული აღმოჩნდა, ვიდრე ვიტტეს ეგონა. საზოგადოებამ აღიარა, რომ სანამ ვიტტეს მთავრობა არ გამოაცხადებს ნამდვილ კანონებს, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს მან დამფუძნებელ კრების მოწვევამდის, მთავრობას ნდობას ვერ გამოვუცხადებთო. პრემიერს ეგონა, იმისი ლამაზი სიტყვები საზოგადოებას აღტაცებაში მოიყვანდა და იმასაც ლამაზ სიტყვებს წარმოათქმევინებდა: დადგა გაზაფხული, აღყვავდა ცხოვრებაო, ნდობა, რომელიც მთავრობამ გამოუცხადაო, და სხვა. მაგრამ პრემიერი შესცდა. იგი, ალბად, ფიქრობდა, რომ გულ-უბრყვილო საზოგადოებასთან ჰქონდა საქმე და თვითონ-კი საზოგადოებაზე უფრო გულ-უბრყვილო აღმოჩნდა.

ამგვარი შეცდომა მუდამ უკან სდევს ამ ბოლო დროს ჩვენს ბიუროკრატიას და გალიბერალებულ მთავრობასაც ვერ მოუშორებია თავიდან. მთავრობა ვერ მიმხვდარა, რომ საზოგადოება გაიზარდა და ცარიელ სიტყვით ვერ დაკმაყოფილდება. ვერ მიმხვდარა, რომ ოცნების ხანა წავიდა. წავიდა ის დრო, როდესაც სვიატოპოლკ-მირსკის ტკბილი სიმღერები სმენას უტკბობდა, იმისი გაზაფხულის კილოები ოცნებას აღუძრავდა ყველას.

საზოგადოება გაიზარდა და თხოულობს საქმეს, საქმეს, თუნდაც ძალიან ძვირადაც დაუჯდეს ეს საქმე. საზოგადოებას ესმის, რომ ოცნების ხანა სისხლის ხანამ შესცვალა და ისიც დვრის სიცხლს და დაღვრის კიდეც, ვიდრე წადილს არ შეისრულებს. ალბად, პრემიერი ჯერ ბიუროკრატიულ ქერქიდან ვერ გამოსულა, თორემ განა თვითონ-კი იფიქრებდა ასე, როდესაც თვითონვე აცხადებს თავის უძლურობას და ამბობს, რომ მთავრობას არა აქვს ძალა გენერალ-გუბერნატორები და სხვა თავის ნება ადმინისტრატორები დაიმორჩილოსო. განა თვით პრემიერი კარგად არა ხედავს, რომ სასახლის რეაქციული პარტია უძლურად ჰხდის განახორციელოს მანიფესტი.

აი, მაგალითად: გაზეთებმა გვაუწყეს, რომ გრაფ ვიტტესთან მივიდნენ საზოგადოების სხვა და სხვა წრის წარმომადგენელნი და აუხსნეს ზეპდვითი სიტყვის თავისუფლების დაკანონების საჭიროებაო. ვიტტე დაეთანხმა მათ და შეუდგა დროებით კანონების შედგენას, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრმა დურნოვომ შეაჩერა ეს საქმე, და დღესაც არ ვიცით, რა ბედი მოელის ამ კანონს. ასეთივე ბედი სწვევია თურმე კანონს პიროვნების ხელ-შეუხებლობის შესახებ. ალბად, ასეთივე ბედი ეწვევა თავისუფლების დაკანონებასაც. საზოგადოება კი გულის ფანცქალით ელოდა ამ დროებით კანონებს, რადგან დეპეშამ გვამცნო, რომ ამ ცოტა ხანში გამოვა დროებითი კანონებიო. ვიტტეს შეუძლიან სთქვას, რომ დურნოვოს საქციელში მე ბრალი არ მიმიძღვისო. მაგრამ თვითონაც კარგად ეცოდინება, რომ ყველგან, სადაც კი მინისტრთა საბჭო არსებობს, მთავრობის მოქმედების პასუხის მგებელი პრემიერია.

თვითმპყრობელობა და საზოგადოებრივი ძალები.

დღეს, როდესაც თვითმპყრობელობა ელვის სისწრაფით მიექანება უფსკრულისაკენ, ინტერესს მოკლებული არ იქნება აღვნუსხოთ მისი მდგომარეობა და არსებულ ანუ მომქმედ საზოგადოებრივ ჯგუფთა მისდამი დამოკიდებულობა-განწყობილება.

თვითმპყრობელება ეკონომიურ პროგრესის პირმშო შვილია, აუცილებელი შედეგია. ხალხის ისტორიულმა განვითარებამ შეჰქმნა ასეთი წესწყობილება, ფორმა სახელმწიფო მართვა-გამგეობისა და ჩვენც მისი საფუძველი საზოგადოებრივ ძალთა განწყობილებაში უნდა ვეძიოთ.

კაუტსკი ამის შესახებ ამბობს: თვითმპყრობელობას მხოლოდ იქა აქვს ადგილი, სადაც საზოგადოებრივი ჯგუფები, ელემენტები, რომელნიც მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, თანაბარნი თანასწორნი არიან, ერთმანეთს ვერ ჰარობენ და მით ვერ ახერხებენ სახელმწიფო მართვა-გამგეობის თავის ხელში ჩაგდებას, რათა იმის საშუალებით თავისი ბატონობა განამტკიცონო.

ცხადზე უცხადესია, რომ დღევანდელ ისტორიულ ხანაში რუსეთის ცხოვრებაში ამგვარ მეტოქე ჯგუფად უმთავრესად ითვლება ბურჟუაზია და მშრომელი დამონავებული ხალხი. ამ ორ, ურთ-ერთისადმი მოსისხლე მტერ, ელემენტს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომია ატეხილი: ერთიცა და მეორეც თავის დიქტატურისაკენ მიილტვის.

ომის გამარჯვებით ან დამარცხებით გათავებას შესამჩნევად აფერხებს ის მესამე პირი, რომელსაც ბიუროკრატია ჰქვია და რომელსაც სახელმწიფო ძალა და ორგანოები უსინიდისოდ მიუთვისებია. იმის ზურგის გამმაგრებელ და ცხოველ-მყოფელობის მიმნიჭებელად, როგორც აღიარებულია, ითვლება მიწის-მფლობელთა კლასი. თვითმპყრობელობის წყალობით ამ უკანასკნელ ეკონომიურ ჯგუფს კიდევ შერჩენილი ჰქონდა ფეოდალური პრივილეგიები, რაიცა შეძლებას აძლევდა ხალხის თავისუფლად ყვლეფისა ძველებურ თითქმის ბატონ-ყმურ წესით და არა განვითარებულ კაპიტალისტურ წარმოებით.

ამნაირად თვითმპყრობელობა რუსეთში, აფერხებდა რა ბურჟუაზიის და მშრომელ ხალხის ზრდა-განვითარებას, ამავე დროს მეცენატობას უწევდა მიწის მფლობელთა წარმომადგენელებს თუ ქალაქის ბურჟუაზიისაც არ აკლებდა იგი ხანდახან თავის მფარველობასა და ცოტად თუ ბევრად ესარჩლებოდა ამ ბურჟუაზიას გაჭირვებულ მდგომარეობაში, - მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ თავისი დღეგრძელობა უზრუნველეყო, მრეწველობის განვითარებით კი ფუფუნებაში ეცხოვრა. ვიმეორებ, რუსეთში ბიუროკრატია სრულიადაც არა ყოფილა ქალაქის ბურჟუაზიის ნამდვილი, ჭეშმარიტი დამცველი, მზრუნველი, პირიქით, მრეწველობაში იგი ხედავდა იმ იარაღს, რომლის მეოხებითაც შეეძლო ეპოვნა საჭირო ფული ძალის და ბატონობის შესარჩენად.

ბურჟუაზიისთვის მზრუნველობას მომავალი ლიბერალური მთავრობა დაისახავს თავის დევიზათ და მხოლოდ პარლამენტარულ მართვა-გამგეობაზე აგებული მთავრობა იქნება ბურჟუაზიის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველი, იმის ბატონობის განმამტკიცებელი. სანამ თვითმპყრობელობა არსებობს, ბურჟუაზია და მასთან მშრომელი მუშაც ბევრ დაბრკოლებას განიცდის განვითარების საქმეში. რათა ექსპლუატატორთა და მუშათა შორის ბრძოლამ რაიმე გადამწყვეტი მნიშვნელობა და ხასიათი იქონიოს, აუცილებელ საჭიროებად ხდება იმ დაბრკოლების ალაგმვა, რომელიც მათ თვითმპყრობელობის სახით მოევლინა.

ამ ნიადაგზე იბადება მათ შორის დროებითი, ტეხნიკური შეერთება.

ეს კავშირი მხოლოდ გარეგნულია და არსებითად სრულიად არა სპობს ანტაგონიზმს კაპიტალსა და შრომას შორის. საერთო მტერი—ბიუროკრატია—აკავშირებს მათ, რომ შემდეგში უფრო დაუცხრომლად იომონ და იბრძოლონ.

ამ შეკავშირებით, როგორც ყოველთვის ისტორიაში, დღესაც მხოლოდ ბურჟუაზია რჩება მოგებული, მუშა კლასის დახმარებით იგი იმტკიცებს თავის ბატონობას, რის შემდეგაც მწყისვე სწყვეტს მასთან სოლიდარობას და მთავრობასთან ერთად ილაშქრებს მშრომელთა ასალაგმავათ.

განვითარების ამ ხანაში ბურჟუაზია შეუწყნარებელ-შეუბრალებელია. იგი არ ინდობს თავის მტერს და არავითარ საშუალებას არ ერიდება, რათა მოწინააღმდეგე დაამარცხოს.

ამ აზრის ნათელსაყოფად საკმაო გავიხსენოთ 1871 წლის „პარიზის კომმუნა“ და ბურჟუაზიის მისდამი დამოკიდებულება, რაიცა ათას და ათი-ათას მუშის, ქალისა და ბავშვის ტერრორიზაციაში გამოიხატა.

ვ. არ—ლი.

დაზარალებულ გურულთა სასარგებლოდ

ბეითლის გრიგოლ მამამიავრიშვილის მიერ შეკრებილი 38 მანეთი. შემომწირველთა სია:

ბეითალი ვლ. ი. რომანევიჩი, 5 მ., მასწავლებელი გუსტავ ვიპუხლო 3 მ., ვაჭრები ოჰანეზ სამუნჯიანცი 3 მ., კარაპეტ სამუნჯიანცი 1 მ., გრიქორ სარაყასლანიანცი 1 მ., აჯიბ-ბაბ ტოროევი 1 მ., ბესარიონ ხმალაძე 8 მ., მიხეილ ხმალაძე 3 მ., მიხეილ სესაძე 1 მ., ხაჩატურ ტარასოვი 2 მ.,

პავლე ნანიკას ძის ყოჯიკაიშვილის მიერ შეკრებილი 9 მ. 45 კაპ.

პავლე ყოჯიკაიშვილი 2 მ., თითო მანეთი: ზაქარია ტომარაძე, ილიკო ჭელიძე, თედო ნიკოლაისშვილი, ათ-ათი შაური ტერ. მირველოვი, ვახტანგ ერგენიძე, აპოლონ გონაძე, მინა გიორგობიანი, უცნობი, უცნობი, ექვთიმე სვანიძე. სერგეი ოგანოვი 25 კ., თითო აბაზი ტიგრან კარაჯევი, დარჩო აკოევი ნესტორ, რამან ლებანიძე, 10 კ.

ძირულაში ერმალოზ დიმიტრის ძის ებანოიძის მიერ მოკრებილი 18 მ. 8 კ. შემომწირველთა სია:

მღვ. სერაფიონ ჩიხლაძე, 50 კ., სევასტი კუპრაძე 50 კ., ერმილე გაჩეჩილაძე 50 კ., ონიფანტე ორჯონიკიძე 50 კ., პეტრე სახუაძე 1 მან., ბიჭია ბლუაშვილი 20 კ., ტარასი ბერაძე 50 კ., კოლა ელიაზოვი 30 კ.. გიორგი მიტეტოვი 30 კ., რაჟდენ გელაშვილი 20 კ., ამბაკო მაღრაძე 20 კ., ალექსანდრე ებანოიძე 20 კ., სანდრო გიორგობიანი 30 კ., თეოფილე ბებიაშვილი 20 კ., იასონ ებანოიძე 30 კ., გიორგი ნიორაძე 10 კ., სერაფიონ შველიძე 20 კ., რაჟდენ თაბაგარი 20 კ.. სამსონ წვერავა 30 კ., ალექსანდრე ებანოიძე 30 კ., ბარამ ლაბაძე 1 მ., ტარიელ შველიძე 20 კ., გიორგი ლაბაძე 50 კ., იასონ ოქროშიძე 20 კ., ყარამან გიორგაძე 20 კ., სანდრო ნიორაძე 15 კ., პავლე გელაშვილი 1 მან., ტრიფონ ჭიპაშვილი 50 კ., ბიქტორ მახათაძე 20 კ., ივანე გველესიანი 50 კაპ., გალაქტიონ გველესიანი 30 კ., ბასილ შველიძე 30 კაპ., დიმიტრი ებანოიძე 30 კ., პეტრე ნიორაძე 1 მან., აბესალომ გველესიანი 50 კაპ., მელიტონ გურული 50 კაპ., პლატონ გველესიანი 20 კაპ., ლავრენტი ებანოიძე 20 კაპ., სერგო ჯაფარიძე 20 კაპ., მურძაყან სხილაძე 20 კაპ., არჩილ ოყროშიძე 20 კაპ., ერმინე გელაშვილი 20 კ., ტრიფონ ნიორაძე, 50 კ., ირაკლი სხილაძე 10 კ., ვალერიან გორგაძე 50 კ., რაჟდენ ნიორაძე 30 კ., კოწია ხვედელიძე, 10 კ., ერმალოზ ებანოიძე 1 მ., არშაკ მდივანოვი, 1 მ.

ილია ესტატეს ძის მაჩაბელის მიერ შეკრებილი 45 მ. 50 კ.

ილია მაჩაბელი 2 მ., მ. ვ. მაჩაბელი 10 მ., გ. თ. ბეგთაბეგოვი 10 მ., ა. ნ. ბეგთაბეგოვი 10 მ., ა. ნ. მილოვი 5 მ., მ. ა. მაჩაბელი 3 მ., ტ. ესაიანცი 1 მ., მ. მილოვი 1 მ., მ. მამიკონოვი 1 მ., ა. მირზოევი 1 მ., ს. ტერზახაროვი 1 მ.. და დ. აბდუშელი 50 კ.

სულ დღემდე ჩვენს რედაქციაში **შემოვიდა** 1861 მ. 79 კ.

გლეხთა კავშირის დელეგატთა კრების რეზოლუცია

1. ხალხის გაჭირვება, რომელიც მიწის სიმცირისაგან წარმოსდგება, მოისპობა მხოლოდ მიწის ხალხის ხელში გადასვლით იმ პირობით-კი, რომ ამ მიწით უნდა ისარგებლოს მხოლოდ მშრომელმა ხალხმა; ე. ი, იმან, ვინც თვითონ თავის ოჯახობით ან სხვასთან კავშირით დაამუშავებს.

2. სამართლიან და ხალხის სასურველ მიწათ-მფლობელობის დამყარება კანონმდებლობის გზით შეუძლიან მხოლოდ დამფუძნებელ კრებას, მოწვეულს სახელმწიფოს ძირითად კანონის შესამუშავებლად. დამფუძნებელი კრება უნდა მოწვეულ იქმნას საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ კენჭის ყრით სქესის, ხალხოსნობის და სარწმუნოების გაურჩევლად. თითო წარმომადგენელი ამორჩეულ უნდა იქნას 100 ათას კაცის მიერ არა უგვიანეს 1906 წლის თებერვლისა. კანონი დამფუძნებელ კრების მოწვევისა უნდა დაუყოვნებლად გამოცხადდეს.

3. დამფუძნებელმა კრებამ უეჭველად უნდა გადასწყვიტოს საადგილ-მამულო საკითხი ხალხის სასარგებლოდ და იმის სურვილის თანახმად.

4. გლეხობა, თავ-მოყრილი სრულად რუსეთის კავშირში, შესძლებს თავის სურვილის დაკმაყოფილებას დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

5. რათა გლეხობის მოქმედება და ბრძოლა უფლებისა და მიწისათვის სწორე გზას არ ასცდეს და ვისიმე შეცდომამ გლეხთა ინტერესებს არ ავნოს, გლეხთა კავშირი კისრულობს ამ საქმის ხელმძღვანელობას. კავშირი შეუერთდება ჩვენ ძმებს ქალაქის ქარხნების და ფაბრიკების მუშებს, რკინის გზის და სხვა კავშირებს და ორგანიზაციებს, რომელნიც მშრომელ ხალხის ინტერესებს იცავენ.

6. ამ ჟამად კი კავშირის საბჭომ შეიმუშავა ზომები, რომლის მეოხებით მიწა რაც შეიძლება მალე ხალხის ხელში უნდა გადავიდეს, და დაადგინა: ა) გლეხობამ არ იყიდოს მიწა მესაკუთრეთაგან. ბ) არ აიღონ იჯარით მიწა; გ) არავითარ პირობით არ შეეკრას მემამულეებს. დ) თუ ვინიცობაა ხალხის მოთხოვნა არ შესრულდეს, გლეხთა კავშირი მიჰმართავს საერთო გაფიცვას: არ მისცემს მუშას მემამულეებს და ამ გვარად შეაჩერებს მათ მამულში მუშაობას; საყოველთაო გაფიცვისათვის გლეხობა კავშირსა აიჭერს მუშათა კლასთან. კავშირმა უნდა იზრუნოს სოფლის მოჯამაგირეთა საზრდოსთვის გაფიცვის დროს.

7. კავშირის საბჭომ დაადგინა, რომ თუ მთავრობა დევნას დაუწყებს გლეხთა კავშირს, რომელიც სცდილობს განახორციელოს ხალხის მოთხოვნა რაც შეიძლება ნაკლების მსხვერპლით, კავშირი შესწყვეტს გადასახადების და ჯარის მიცემას, გამოიტანს შემნახველ კასებისა და ბანკებიდან თავის თანხებს და გლეხთა კაპიტალს და დაჰხურავს არყის დუქნებს.

8. იმის ნიშნად, რომ გლეხთა კავშირის დელეგატთა კრება თავის დაწყებულ საქმეს წმიდა საქმედ სთვლის, კრებამ დაადგინა: მოსპოს არყის სმა. გლეხობა, რომელიც უფლებისა და მიწისათვის იბრძვის, უნდა ყოველთვის ფხიზელი იყოს.

რუსეთის სხვა და სხვა კუთხიდან მოსულ ამბების დაგვარად კრება აცხადებს: ჩვენ წინ და წინვე ვიცით, რომ თუ არ შესრულდა ხალხის მოთხოვნა, რუსეთში თავს იჩენს დიდი მღელვარება. ეს მღელვარება გამოიწვევს ხალხის საყოველთაო აჯანყებას, რადგან აივსო გლეხობის მოთმინების ფიალა.

10. გლეხთა კავშირის დელეგატთა კრება ერთხმად აცხადებს, რომ 10 ნოემბრიდან დაწყებული დამფუძნებელი კრების მოწვევამდე არც ერთ მომავალ სახელმწიფო სესხს ძალა არ ექნება და ხალხი უარს ამბობს ამ სესხის გასტუმრებაზე.

ახალი ამბავი

ავტონომიის სათხოვნელად. ამ დღეებში გაემგზავრებიან პეტერბურგს მარშლად ნამყოფი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი და ქალაქის მოურავად ნამყოფი ნ. ვ. არგუთინსკი-დოლგორუკოვი. მათ მიაქვთ გრაფ ვიტტესთან კავკასიის ნამესტნიკის წერილი, რომელშიაც მოყვანილია თურმე ნამესტნიკის აზრი კავკასიის ავტონომიის შესახებ.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა კავშირის განცხადება. კავშირი გვთხოვს დავბეჭდოთ: „სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე-მოსამსახურეთა კავშირის ტფ. ბიურო ზნეობრივ მოვალეობად რაცხს აცნობოს მოქალაქეთ, რომ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვა გამოიწვია დურნოვოსა და სევასტიანოვის მიერ მიღებულმა რეპრესიულმა ზომებმა. ამათ უნდათ მოგვაკლონ 17 ოქტომბრის მანიფესტით მოპოვებული თავისუფლება. ამიტომ ესენი არიან მიზეზნი იმ უსიამოვნებისა, რომელიც გამოიწვია გაფიცვამ. გვრწამს, რომ საზოგადოების თანაგრძნობა, როგორც წინად, ეხლაც ჩვენსკენ იქნება.

ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა მიტინგი. სრულიად რუსეთის ფოსტა-ტელეგრაფის ტფ. ოლქის ბიურო დღეს, 18 ნოემბრის დილის 10 საათისათვის მიტინგზე იწვევს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის დაწესებულებათა მსახურთ და აგრეთვე ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს მოხელეთ. მიტინგი მოხდება ვერაზე, საარტილერიო ყაზარმებს იქით.

სალდათების მოთხოვნილებანი. ამას წინად მომხდარა მინგრელსკის პოლკის სალდათების კრება, რომელზედაც მოთხოვნილებანი შეუმუშავებიათ და პოლკის უფროსისათვის წარუდგენიათ. სალდათები, სხვათა შორის, ითხოვენ სათადარიგო ჯარის კაცთა განთავისუფლებას, საჭმლისა, ბინისა და ტანისამოსის გაუმჯობესებას, ზრდილობიან მოპყრობას, თვიურად ხუთ-ხუთ მანეთის დანიშვნას და სხვ.

რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეთა თათბირი. ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტელეგრაფის მოხელეთ იაფ-ფასიან სასადილოს სადგომში თათბირი ჰქონდათ სახელმწიფო ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებთან. ამ უკანასკნელთ მადლობა გამოუცხადეს რკინის გზის მოხელეთ თანაგრძნობისა და გაფიცვისთვის.

ექსარხოსი ნამესტნიკთან. გუშინ, 17 ნოემბერს, საქართველოს ექსარხოსი იყო ნამესტნიკთან და ხანგრძლივი მოლაპარაკება ჰქონდა ქართველ ეპისკოპოსების მოთხოვნილებების შესახებ, რომ ქართულ ეკკლესიას დაუყოვნებლივ მიენიჭოს ავტოკეფალია.

გაფიცვა. როგორც ხმა დადის, რუსეთის რკინის გზის ყველა ტელეგრაფის მოხელენი გაფიცულან.

ფოთი. 15 ნოემბერს, ღამე, სოხუმისკენ ოცი ვერსის სიშორეზე ზღვაში დაიჭირეს ხომალდი, რომელშიაც აღმოჩნდა ათას ორასი თოფი შვეიცარულ სისტემისა და ორმოცი ათასი პატრონი. შეიპყრეს ხომალდი და შვიდი კაცი.

ნიმუში ხულიგანთა ლიტერატორობისა. როგორც ნამესტნიკს ქალ. დერბენტიდან ატყობინებენ, ვიღაც ხულიგანებს ადგილობრივ რეალურ სასწავლებლის კარებზე შემდეგი განცხადება გამოუკრავთ: „რესპუბლიკანტებო! თქვენ არ გინდათ მეფე? თქვენთვის თავისუფლება ცოცაა? მაშ ჩვენ გაჩვენებთ თავისუფლებას! ისეთ დღეს დაგაყენებთ, რომ არც ერთი თქვენგანი ცოცხალი არ დარჩება. თქვენ გგონიათ რომ დერბენტში თქვენ იპარპაშებთ? თქვენ გგონიათ, რომ ნასწავლი კლასი გაიმარჯვებს?! მაგალითები თვალწინ გვიძევს: ხომ ამოხოცეს სხვა ქალაქებში მოწაფენი, ამოგხოცავთ დერბენტშიაც ისე, რომ აღარც ერთი არ დარჩეთ! ვნახოთ ვინ დასძლევს, თქვენ თქვენი მასწავლებლებით თუ ჩვენ“! ამ განცხადებას ქვეშ აწერია „ხულიგანები“ და ფჩხილებში კიდევ როგორც თქვენ გვეძახითო.

გადასახადი ეგზეკუციისთვის. სოფ. ძეგვში, როგორც გადმოგვცეს, ამ ჟამად კომლზე 4 მანეთს აგროვებენ ყაზახთა ეგზეკუციისათვის, რომელიც უკვე წავიდა. ამ ეგზეკუციის სოფელში ყოფნის დროს კომლზე ორ-ორ აბაზს აგროვებდნენ და ეხლა აღარ იციან, ეს 4 მანეთი რისთვის იკრიბება.

დადგენილება სწავლის შესახებ. გუშინ, 17 ნოემბერს, მოხდა შეერთებული კრება ტფ. ვაჟთა მეორე გიმნაზიის საპედაგოგო საბჭოსი და მოწაფეთა შეკრების დელეგატებისა. ხანგრძლივ კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა სწავლა შესწყდეს იმ დრომდე, ვიდრე დაარსდებოდეს „მშობელთა წრე“.

ზუგდიდიდან გვწერენ: „15 ნოემბერს, აუარებელ ხალხის თანადასწრებით და ს.-ფედერალისტთა ადგილობრივ ორგანიზაციის თაოსნობით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი საბა კლდიაშვილის სულის მოსახსენებლად. წარმოთქმულ იქმნა რამდენიმე სიტყვა. პანაშვიდის გათავებამდე ყველა მაღაზიები დაკეტილი იყო.

კონცერტი დაზარალებულთა სასარგებლოდ. ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობას განუზრახავს ამ ცოტა ხანში გამართოს კონცერტი და შემოსავალი გადასდოს განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

მოწაფეთა საბჭო. ტფ. რეალურ სასწავლებელში უკვე შესდგა საბჭო მოწაფეთაგან. სკოლის საბჭოში შევიდა უკანასკნელ კლასის სამი მოწაფე. მოურავად არჩეულ იქმნა ერთხმად მე-7 კლასის მოწაფე ამირალოვი. ხმოსნებათ თითო კლასიდან ექვს-ექვსი კაცი. ხმოსნებისგანვე არჩეულ იქმნენ სხვა და სხვა კომისიები. სხვათა შორის, შესდგა კომისია მოწაფეთა სწავლის ფულის შესახებ. ამ კომისიას გადაეცემა განსახილველად თხოვნები სწავლის ფულისაგან განთავისუფლების შესახებ.

ახალი გაზეთი. ა. ერზიკიანცმა შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს გამოსცეს ტფილისში სომხური ყოველ-დღიური პოლიტიკური და ლიტერატურული გაზეთი სახელად „კაიც“.

გაზეთის გადაცემა. ნამესტნიკმა ნება დართო „პატარა გაზეთის“ რედაქტორს პ. მ. მირიანაშვილს თავისი გაზეთი გადასცეს ბ-ნ კ. ს. მესხს.

ქალაქის საბჭოს კრება. ტფ. ქალაქის საბჭოს კრება დანიშნულია 22 ნოემბრისათვის.

მეპურეთა მიტინგი. კვირას, 20 ნოემბერს, მოხდება ტფილისის მეპურეთა მიტინგი კავშირის შესადგენად.

ტელეგრაფისტთა დელეგატები. დღეს, 18 ნოემბერს, მოელიან ლიანდაგის ტელეგრაფის დელეგატებს. ტფილისში მათ უნდა მოილაპარაკონ თავიანთ საჭიროებათა შესახებ.

მიტინგი. კვირას, დილის 10 საათზე, ნაძალადევში მოხდება მედროგეთა და მეპოვოზკეთა მიტინგი.

მაზრის უფროსი კელამოვი. ამას წინად ერთ ფელეტონში მკითხველებს უკვე გავაცანით ზუგდიდის მაზრის უფროსი ე. კელამოვი. ეს ვაჟბატონი წინად ერევნის ქალაქის მოურავად ყოფილა, მაგრამ თავისი საქციელით სომხობას ძალზე შეძულებია, თუმცა ტომით სომეხი ყოფილა. კელამოვის პიროვნება მაშინ გამოაშკარავებულა, როცა ერთის ქალისთვის შეურაცხება მიუყენებია. ამ ქალს აფიცერი ტიზენგაუზენი გამოჰქომაგებია და შეურაცხმყოფელი ხმლით დაუჭრია. როცა ეს საქმე სამხედრო სასამართლოში ირჩეოდა, კელამოვს უთქვამს, ტიზენგაუზენს მე არ ვატყუნებ, რადგან იგი სომეხთა იარაღია. სომხებს ვეჯავრები, რადგან იმათ არ თანავუგრძნობ და ვდევნი მთავრობის საწინააღმდეგო მოქმედებისათვისაო. კელამოვს თავი დაუნებებია თვითმმართველობისთვის და ქუთაისის გუბერნიაში ადმინისტრატორად

ფელეტონი

ძირს ქალაქის მამები!

სცენა ერთ მოქმედებად

(სცენა წარმოადგენს ტფილისის ქალაქის საბჭოს დარბაზს)

მომქმედნი პირნი:

ქალ. თავ. მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილი
ნ. ხუდადოვი.
თავ. მიქელაძე
ა. ხატისოვი
ა. ევანგულოვი
ტიგრანოვი
საბჭოს ხმოსნები

„კავკაზი“
„ნოვოე ობოზრენიე“
„ტიფლისკი ლისტოკი“
„კავკ. კრაი“
„ივერია“
„ცნობის ფურცელი“
„მშაკი“
„მოგზაური“
რამიშვილი
ჯაფარიძე
ელიავა
სოციალ-რევოლიუციონერი
სოციალ-ფედერალისტი
დროშაკისტი
შუშანიკა
ქეთევანა
ლიუდმილა.
ახალგაზრდა ქალები

მიქელაძე. ამხანაგებო! ჩვენ უნდა განვიხილოთ წინადადება ხუდადოვისა...

ხუდადოვი. ბ-ნო მიქელაძე, ნუ ხართ მეტიჩარა. ჩემს წინადადებას მეც კარგად მოვახსენებ საზოგადოებას, თქვენი დახმარება არ დამჭირდება. ამხანაგებო! საჭიროა თავმჯდომარე ამოვირჩიოთ. ჯერ-ჯერობით დავემორჩილოთ ძველს წესებს და დეე, იყოს თავმჯდომარედ ისევ ქალაქის თავის მოადგილე თავ. ჩერქეზიშვილი.

ყველანი. (ერთ-ხმად) იყოს, იყოს!

თავ. ჩერქეზიშვილი. ამხანაგებო! ყაბულსა ვარ თავმჯდომარეობა გაგიწიოთ, მაგრამ ამას-კი გეტყვით: საცა ერდო მაღალია, მეც იმისი მაყარი ვარ...
ამისათვის ნუ დამემდურებით. ბ-ნო ხუდადოვო, მოახსენეთ კრებას თქვენი წინადადება.

ხუდადოვი. საჭიროება მოითხოვს ხმოსნები გავიდნენ აქედან და სამსახურს თავი გაანებონ. დროა საქმეს შევუდგეთ: ავირჩიოთ ხმოსნები იმ წესით, რომელსაც დღევანდელი დღე თხოულობს. ხმა მივცეთ ყველას.....

ხალხი. ვაშა! ვაშა!

ევანგულოვი. ჩვენ საბჭოს თავს ვერ დავანებებთ, ეს ხომ გაფიცვა იქნება! ნუ თუ არ იცნობთ ჩვენს ხმოსნებს? იმდენი გამბედაობა არ მისცა მათ ღმერთმა, რომ გაფიცვა გაჰბედონ! გახსოვთ 29 აგვისტო? ამ დღეს შემდეგ ოცჯერ დაადგინეს, სამსახურს თავს ვანებებთო, მაგრამ ისევ უკან მოდიან ტყაპა-ტყუპით. ბურჟუა ადამიანი გაფიცვას ვერ მოახერხებს!...

ხალხი. ვაშა, ვაშა!

ევანგულოვი (წაქეზებული): დიახ, მე ზეპირად არა ვლაპარაკობ. აი, მაგალითი: ყველანი იცნობთ საბჭოს ხმოსანს ბაბოვს, რომელსაც ჩავაბარეთ ქალაქის ქუჩებზე ქვის დაგება ამ ბურჟუამ აიღო და 600,000 მან. შესთავაზა სოლოლაკს, რადგან იქ მდიდრები სცხოვრობენ.

ბაბოვი. ეს სიცრუეა, სიცრუე! ბ-ნო თავმჯდომარე, ნუ აძლევთ ლაპარაკის ნებას. სიცრუეა, სიცრუე!

ევანგულოვი. სრულებითაც არ ვამბობ სიცრუეს! ვამბობ და დაგიმტკიცებთ კიდეც საბუთებით, მხოლოდ მომისმინეთ!...

ბაბოვი. მაგაზედ ლაპარაკს ის არა სჯობიან სთქვათ, როგორ შეჭყლაპეთ 95,000 მანეთი ქალაქის ხორცის დუქნების ფული?!...

ხალხი. ვაშა, ვაშა!

მიქელაძე. ხალხო, დამშვიდდით, თორემ აქაურობას ავიკლებ (დაახეთქებს სკამს და დაამტვრევს).

თავმჯდომარე (ზარსა რეკავს განუწყვეტლივ). სიჩუმე, ამხანაგებო, სიჩუმე! (სიჩუმე ჩამოვარდება) ბ-ნო ევანგულოვ, განაგრძეთ!

ევანგულოვი. მე ყაბულსა ვარ ვიბრძოლო რევოლიუციონურად, მაგრამ მე შემიძლიან ბრძოლა მხოლოდ ლეგალურად. ამისათვის ჯერ-ჯერობით უნდა ვითხოვოთ მოგვცენ ახალი დებულება. სანამ ამ დებულებას მოგვცემდნენ, უნდა დავრჩეთ ჩვენს ადგილზედ.

ხალხი. ვაშა, ვაშა!

ზოგი. Чорта съ два!

მიქელაძე. ხუდადოვმა ჩვენ დაგვითხოვა და სხვები მოიწვია ხმოსნებად. ხუდადოვი ამბობს, ამას თხოულობს ეხლანდელი თავისუფლებაო. აბა დამიმტკიცოს ხუდადოვმა და სხვებმა, რომ ხალხის მოძრაობა თავისუფლების მოპოვებისთვის იქამდის მივიდა, რომ მოიპოვებს თავისუფლებას. როცა ამას დამიმტკიცებენ, მაშინ მე თვითონ შევუერთდები ამ მოძრაობას.

ელიავა. როცა სტოლი გაშლილია, შემწვარი ქათამი მოტანილია, მაშინ მადა გაგეხსნებათ, არა? მშვენიერი სამსახურია!

მიქელაძე და სხვანიც. ვაშა, ვაშა!

მიქელაძე. თქვენ, გეტყობათ, კიდევ გინდათ მათრახები ყაზახებისა, ხმლის ტრიალი დრაგუნებისა და სხ. ამხანაგებო, ჭკუა უნდა იქონიოთ, როცა მოქმედებთ, ჭკუა! მე ვერ გამაკვირვებთ თქვენის სიმამაცით. იმახით, ძველი წესები და კანონები არვარგაო. დიახაც რომ არ ვარგა, ეს ვინ არ იცის!

ხალხი. ორს სკამზე ნუ ზიხართ, გაგვაგებინეთ, რა უნდა სთქვათ!

მიქელაძე. თუ-კი არ მათქმევინებთ. აი გავათავებ და ისიამოვნეთ: ხუდადოვის წინადადება უყურადღებოდ დასტოვეთ, მე აქედან არსად წავალ. ამასაც გეტყვით, რომ დღევანდელი კანონი არ ვარგა. ჯერ დაწერილი არ იყო, მე მაშინვე ვიცოდი, რომ არ ვარგოდა.

ტიგრანოვი. მშვენივრად ლაპარაკობს მიქელაძე, მაგრამ ვერ გამიგია, რას აკაკუნებს ევანგულოვი. ნუ გაიგონებთ ამის სიტყვებს. ვინ გითხრათ, რომ ჩვენი საბჭო ბურჟუაზიული იყოს. თქვენც არ მომიკვდეთ, ეგ ტყუილია. ჩვენი საბჭო სახელოვანი საბჭოა, ისეთი თვითმმართველობა გვაქვს, რომ მთელს იმპერიაში არ არის.

თავმჯდომარე. საგანზე ილაპარაკეთ, ხალხი ნუ დახოცეთ სიცილით.

ტიგრანოვი. როგორ თუ არ ვილაპარაკო ამაზე! ნუ თუ თქვენ გული არ შეგეტკივათ, რომ ბურჟუას გეძახიან და ამისთანა ცილსა გწამებენ! მიშლით კიდეც ამაზედ ლაპარაკს? გრცხვენოდეთ, ბ-ნო თავმჯდომარევ! გავჩუმდები და ეგ ცოდო თქვენს კისერზე იყოს!

თავმჯდომარე. თქვენ მიტინგი გგონიათ აქ?

ტიგრანოვი. მაშ კარგი—ეხლა ისე ვ ლაპარაკებ, როგორც ხმოსანი: ნუ თუ მ თქვენ გულადი არა გგონივართ?

ხალხიდან (სიცილი). ბ-ნო თავმჯდომარევ, უთხარით ორატორს, ნუ მასხარობს და ამოდენა ხალხს ნუ გვაცდენს.

ტიგრანოვი. როგორ თუ გაცდენთ! მაშ მე გულადი არა ვარ? (ყველანი იცინიან და გულიანად ხარხარებენ). ნუ თუ სიგულადე იქმნება, რომ ტყვიას გული შეუშვირო? განა შეიძლება მტერს შევეტაკოთ მაშინ, როცა ძალა არა გვაქვს? უნდა მოვიცადოთ, იქმნება ბედმა გაგვიღიმოს.

ხატისოვი. ჩვენ, ხმოსნები ადამიანები ვართ თუ არა? უფლებები გვაქვს თუ არა? ყოველი გაჭირვებული კაცი ჩვენთან მოდიოდა, მაშასადამე, ჩვენ პატრონათა გვთვლიდნენ. გაჭირვებული, ე. ი. პროლეტარიატი, ჩვენთან მოდიოდა თხოვნით, ეხლა-კი მოდიან ძალადატანებით და მოთხოვნილებით. გვეყვირიან: „იარაღი გამოიტანეთ და ვიბრძოლოთო!“ თავისუფლების მოპოვებისთვის საჭიროა შეერთება ხალხისა. ჩვენი საბჭო პროგრესიულია. ვთხოვთ, შევერთდეთ, რომ დავცეთ ჩვენი მტერი. ხომ იცნობთ სოციალდემოკრატიულ მწერალს პლეხანოვს, ისიც თხოულობს შეერთებას. მე ვამტკიცებ, რომ ჯერ-ჯერობით რუსეთი მზად არ არის ბრძოლისათვის. როცა მზად ვიქნებით, პირველი გამოვალ ბრძოლის ველზედ.

ქალები. რა მშვენიერი ორატორია, ვაშა, ვაშა!

ხუდადოვი. ჩემ თავს ხმოსნათ ვეღარ ჩავთვლი. უნდა ავარჩიოთ ახალი ხმოსნები, ამომრჩევლად უნდა იყოს ყველა მოქალაქე. ტიგრანოვი ამბობს: „როგორ თუ ჩვენ ბურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წასულა. იმისი შვილი, უნივერსიტეტში კურს დამთავრებული, გენერალ შირინკინის საგანგებო საქმეთა მოხელეა.

◆ **მაჰმადიანთა მოკვლა.** ამ დღეებში მოჰკლეს სამი მაჰმადიანი. ამ ამბავმა მცხოვრებნი ააშფოთა. ბევრი შეტაკებას მოელოდა სომეხთა და თათართა შორის. 15 ნოემბერს ერთი მოკლული დაჰკრძალეს. პროცესიას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. გუბერნიის კაზი ურჩევდა მაჰმადიანებს, მოესპოთ მტრობა და მიემხროთ განმათავისუფლებელ მოძრაობასაო. ილაპარაკეს სხვებმაც.

◆ **მოწაფეთა კლუბი.** ტფილისის საშუალო სასწავლებლის მოწაფენი აარსებენ მოწაფეთა კლუბს და ამ ჟამად კრებები აქვთ წესდების შესამუშავებლად.

◆ ტფ. გამგეობას აზრადა აქვს ქალაქის სხვა ნაწილებში გადაიტანოს პოლიციის მე-9 და მე-10 ნაწილში მოთავსებული საროსკიპო სახლები.

◆ **მოწოდება.** როგორც მკითხველებმა იციან, ტფ. რესტორან-სასტუმროების და ოჯახების ხელზე მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს კავშირის შედგენა. საორგანიზაციო კომისიამ შემდეგი მოწოდება დაუგზავნა ამხანაგებს:

ტფ' ყველა ხელზე მოსამსახურეთ. ამხანაგებო! ჩვენ მოგიწოდებთ ყველა თქვენგანს პროფესიონალურ შემაერთებელ კავშირის დასაარსებლად. ყველა ჩვენგანი დღეს ცალ-ცალკე სცხოვრობს. ერთმანეთის პირი და ვარამი არ ვიცით, ჩვენი ასეთის მდგომარეობით ხაზეინები სარგებლობენ და უზომოდ ტყავს გვაძრობენ. ახლა-კი ყველა პროლეტარი, ყველა მუშა იბრძვის, ყველანი ერთდებიან, ადგენენ კავშირებს, შედიან სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციაში, ყველა ისწრაფვის გააუმჯობესოს როგორც თავისი, ისე სხვისი ცხოვრება.

ამ დროს სირცხვილია ჩვენთვის გულ-ხელ დაკრეფილი ჯდომა, სირცხვილია, რომ არ ვიბრძოლოთ სხვა მუშებთან ერთად. არავინ იმდენს არ მუშაობს, რამდენსაც ჩვენ, არავინ არა სცხოვრობს ისე გაჭირვებული, როგორც ჩვენ. და აი რომ გავაუმჯობესოთ ჩვენი მდგომარეობა, რომ ვაიძულოთ ხაზეინები და ჩვენი მოთხოვნილებანი დავაკმაყოფილებინოთ, აუცილებლად საჭიროა ჩვენი შეერთება, კავშირის დაარსება ყველა რესტორანებსა, ტრაქტირებსა, სასტუმროებსა და ოჯახებში მოსამსახურეთა.

ჩვენის კავშირის მიზანი იქნება უალგოდ დარჩენილ ამხანაგებისთვის ადგილის შოვნა, ერთმანეთის დახმარება, როდესაც საჭიროება მოითხოვს, ბიბლიოთეკის და კლუბის დაარსება, სადაც კავშირის წევრებს თავისუფლად შეუძლიანთ შეიკრიბნენ, იკითხონ, ილაპარაკონ თავის საქმეებზე, ყური დაუგდონ ორატორებს, რომელნიც ახსნიან და განჰმარტავენ დღევანდელ ცხოვრების ვითარებას. ჩვენი კავშირი ამოირჩევს ცალკე კომისიას, რომელიც თვალყურს ადევნებს ხაზეინებს, რათა ამ უკანასკნელთ არ დასჩაგრონ და შეავიწროვონ ჩვენი ამხანაგები, და როდესაც ჩვენ ყველანი (ჩვენ ტფილისში სულ 13,000 კაცი ვართ) შევერთდებით, მაშინ მტერი აგრე ადვილად ველარ დაგვჩაგრავს. მაშინ მოვიპოვებთ ჩვენ უკეთეს ცხოვრებას.

მაშ გაუმარჯოს ტრაქტირებსა, რესტორანებსა, სასტუმროებსა და ოჯახებში მოსამსახურეთა კავშირს! გაუმარჯოს მუშათა კლასის ბრძოლას! *)

გუშინ, 17 ნოემბერს, უკვე მოხდა მიტინგი ნაძალადევში. ამ მიტინგის ამბავს და დადგენილებას ხვალ ვაუწყებთ მკითხველებს.

◆ კარატაპა. 16 ნოემბერს, როდესაც სასალხო მატარებელი უნდა შემოსულიყო, იმდროს შეცდომით გადააბრუნეს ისარი. ორთქლმავალი გადავარდა. მემანქანის თანაშემწე დაშავდა. მგზავრები ძალზედ შეშინდნენ.

კრება დაზარალებულთა ფონდის შესახებ

ოთხშაბათს, 16 ნოემბერს, საღამოს, ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში მოხდა კრება სხვა და სხვა ქართულ დაწესებულებათა, რედაქციების და პარტიების წარმომადგენლებისა. სულ იყო 23 დელეგატი.

თანახმად წინა კრების დადგენილებისა, გადაწყდა დაარსდეს ფონდი, რომლიდან დახმარება უნდა აღმოუჩინოს ხოლმე განმათავისუფლებელ მოძრაობაში დაზარალებულთ ტფილისის, ქუთაისის და ბათუმის გუბერნიებში. ერთმა დამსწრეთაგანმა აღძრა კითხვა, მთელ კავკასიისთვის იყოს ფონდიო; მაგრამ დანარჩენთ ის აზრი გამოსთქვეს, რომ ქართველ საზოგადოებას, რომელიც ამ ფონდს აარსებს, არ შეუძლია გასწვდეს, ხელმოკლეობის გამო, მთელს კავკასიას და ამიტომ იგი დაეხმარება მხოლოდ საქართველოს დაზარალებულ მცხოვრებთ ეროვნების განურჩევლად.

დიდი ბაასი გამოიწვია ფონდის წყაროების აღმოჩენის საკითხმა. ბოლოს კრებამ, ჯერჯერობით შემდეგი წყაროები აღინიშნა: 1. ყველა ის დაწესებულებანი, რომელთა წარმომადგენლები შევლენ ბიუროში, თავის მსახურთ დაავალებენ (რასაკვირველია, ნებაყოფლობით) რამდენიმე % გადასდვან ყოველთვიურად ჯამაგირიდან ფონდისთვის. 2. ბიურო მიჰმართავს სათავად-აზნაურო ტფ. და ქუთ. ბანკებს, ტფ. სამეურნეო ბანკის, „კახეთის“ საზოგადოების და გორის სინდიკატის საზოგადო კრებათ თავიანთ მოგებიდან გადასდვან ფული ფონდის სასარგებლოდ. 1. დრამატიულ საზოგადოებას და სახალხო თეატრებს წარედგინებათ თხოვნა ფონდის საშუალებათა გასაძლიერებლად წარმოდგენები გამართონ ხოლმე; ამასთანავე ქართულ დრამატ. საზოგადოების გამგეობას წარედგინება შუამდგომლობა ყველა ბილეთებზე (გალერეის ბილეთების გარდა) დააწესოს ერთი ან ორი შაური გადასახადი ფონდის სასარგებლოდ. 4. ბიურო მოიწვევს გაჭართ და, საზოგადოთ, კერძო შეძლებულ პირთ და მათის შეხედულობით გააწეროს ყოველთვიურ შემოწირულებას. 5. ბიურო სთხოვს ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთ, ხელისმოწერის განცხადებებში ჩაურთონ მოწოდება, ხელის მომწერთ გაზეთის ფულთან შემოწირულებაც წარმოადგინონ რედაქციებში ბიუროსათვის გადასაცემად. 6. დარიგდეს დაწესებულებებში და ზოგიერთ კერძო სახლებში ყულაბები. 7. გამოიცეს ლიტერატურული და პოლიტიკური კრებული, ღია წერილები დასურათებული და სხვა. 8. მიემართოს საზოგადოებას კერძო შემოწირულებათა მოსაწოდებლად.

შემდეგ ლაპარაკი იყო ბიუროს შედგენაზე. გადაწყდა, რომ ბიუროს წევრებად იქნებიან შემდეგ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა თითო წარმომადგენელი: „ცნ. ფურცლის“, „ივერიის“, „მოამბის“, „მოგზაურის“, „ვოზროჟდენიეს“, „ნაკადულის“ და „ჯეჯილის“ რედაქციები, ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოება, ქართული დრამატ. საზოგადოება, ქართული სახალხო თეატრი, წიგნ. გამომც. ქართვ. ამხანაგობა, ამხანაგობა „ცისკარი“, თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ტფ. სათავად-აზნაურო ბანკი, ტფ. სამეურნეო ბანკი, სათავად-აზნაურო გიმნაზია და იმისი გამგე კომიტეტი, ქართველ ქალთა კავშირი, ს.-დემ., ს.-ფედ., და ს.-რევ. პარტიები, „კახეთი“-ს მევენახეთა საზოგადოება. ამათ გარდა ბიუროს წევრად იქნება ამ საქმის ინიციატორი ი. ს. გოგებაშვილი და აგრეთვე ის პირნი და დაწესებულებანი, რომელთა მონაწილეობა სასარგებლოდ იცნობს ბიურო. მთელმა ბიურომ უნდა იკისროს ფონდის გაძლიერების საქმე, აწარმოვოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში, პარტიულ ორგანიზაციების შემწეობით გაანაწილოს დაზარალებულთა შორის ფული და სხვა. ბიურომ თავის შორის აირჩია აღმასრულებელ კომიტეტის წევრები: ბ-ნნი ი. გოგებაშვილი, გ. ლასხიშვილი, ვ. რცხილაძე, ივ. დურგლიშვილი და ხ. ღლონტი; მათ კანდიდატებად — გ. ყიფიანი და მ. თოთიბაძე. ბიუროს ხაზინადრად არჩეულ იქმნა ვ. ი რცხილაძე. შემოწირულებათა გამოგზავნა ფონდისათვის ჯერ-ჯერობით შეიძლება: ხსენებულ გაზეთების რედაქციებში, აგრეთვე აღმასრულებელ კომიტეტის წევრები მიიღებენ შემოწირულებას: ი. გოგებაშვილი (ვეძინის ქუჩა, № 1), გ. ლასხიშვილი („ცნ. ფ.“-ის რედაქცია), ვ. რცხილაძე (მევენახეთა ამხ. „კახეთი“, დვორც. ქუჩა), ივ. დურგლიშვილი (დიდუბე, შერემეტ. ქუჩა, სახლის ქუთაის. ბანკისა, ფავლენიშვილისეული) და ხ. ღლონტი (საპიორნი ქ , ისარლოვის სახლში, სამკურნალ. საზ ქვემოდ).

პატარა ფელეტონი

სირაჯი კაკულა

(საამდროო ამბავი)

კაკულა ბიუროკრატიძე შთამომავლობით სირაჯი იყო.

ათადან-ბაბადან იმისი მამა-პაპა სირაჯობდა და, რაღა თქმა უნდა, სირაჯული ზნე-ჩვეულება კაკულასაც ძვალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი.

ღვინის „მონათვლა“, „გემოს მიცემა“, „დაყენება“ ისე არავინ იცოდა სირაჯებში, როგორც კაკულას გვარმა.

ერთ ჩაფს ყურძნის წვენს ხუთ ჩაფს წყალს აატანინებდა, ამ გაწყალებულს დურდოს დაშაქრავდა, სიმაგრისათვის არაყს მიუმატებდა და ასმევდა, აბრუებდა გულუბრყვილო მუშტარს.

ასეთ „ნათლიაობის“ წყალობით კაკულას ღვინომ დამაჭრება, ადუღება არ იცოდა, ეყარა ღვინით სავსე რუმბები კაკულას სარდაფში უძრავად უსულო გვამსავით და პირიც რომ შეგეხსნა რუმბისათვის, ისე იყო „ნათლობით“ დაუძლურებული ყურძნის წვენი, რომ ვიდრე მუხლი არ დაგეპირებინა ლაზათიანად შეკუპრულ რუმბისათვის, შემდორებული ღვინო არ გადმოისხმოდა.

ასე სწამლავდა კაკულა თვეობით და წლობით ხალხს, გამდიდრდა, ქონი მიიკრა ჰიპზე, ღიპი გაუკეთდა და მხოლოდ თავისის ბედნიერების ფიქრში იყო, ქვეყანა და ქვეყნის საქმე ფეხებზედ ეკიდა.

მთელი ხალხი იმის ბოგანო მონად გადაქცეულიყო და ხარკს უხდიდა.

ხალხი მჭლევდებოდა, კაკულა სუქდებოდა, ხალხი ღარიბდებოდა, კაკულას მამული მამულზე ემატებოდა; თავისს შორეულ ნათესავებსაც კი ცალკე მამულები უყიდა.

ერთის სიტყვით, აივსო კაკულა ხალხის ოფლით, ქვაცა ჰქონდა, კაკალიც, თავზე შემოსაკრავიც.

დიდხანს გასტანდა კაკულას ხალხის უბედურებაზე აშენებული ბედნიერება და იქნება ჩვენს შვილიშვილებსაც კაკულას შთამომავლობა „მონათლულის“ ღვინით გამასპინძლებოდა, მით უმეტეს, რომ სირაჯ კაკულას ყველგან ჩარჩები ჰყავდა დარაჯად დაყენებული და იმ უბანში, სადაც ის ონავრობდა, უიმისოდ ნამდვილს ღვინოს ვერავინ გააჭაჭანებდა, მაგრამ...

მაგარი ის არის, რომ კაკულას დაბეჩავებულს მუშტრებს ნათელ-მირონი გამოუჩნდა ღვინის მომყვან ქვეყანაში და აი, კაკულას უბედურებაც აქედან იწყება.

კაცი კაცით არის მაგარიო, ნათქვამია. კაკულას მუშტრები გავიდ-გამოვიდნენ, უცხო ხალხი გაიცნეს, დაუმეგობრდნენ, დაუმოყვრდნენ, ერთმანეთს აზრი და გულის ნადები გაუზიარეს, გონებაში ჩავარდნენ და გათვითცნობიერდნენ.

ვიღაც ხალხის მოყვარემ იმ უბანში პატარა ტიკჭორით კაკულას ნამდვილი ღვინოც შემოაპარა, იგემეს ეს ღვინო კაკულას მუშტრებმა და თვალები აეხილათ, მიხვდნენ კაკულას ცბიერობას.

აყაყანდა ხალხი.

აითვალწუნეს აქამომდე „ალაღ“ დაბატონად მიჩნეული კაკულა, გამარჯობას რიგიანად აღარავინ ეუბნებოდა, პირში აფურთხებდნენ, ხალხის მყვლეფავსა და მტარვალს ეძახოდნენ.

ძალა-უნებურად თუ, თორემ კაკულას წმინდის გულით აღარავინ ეკარებოდა.

შეფიქრიანდა კაკულა.

დარწმუნდა, რომ ხალხს ეზიზღებოდა და გემრიელი ლუკმა პირში გაუმწარდა.

მოინდომა ხალხის გულის მონადირება, მაგრამ არც ძველი მოგება ეთმობოდა. რა ექნა?..

— ჯანდაბა მაგათ თავსაო! გადასწყვიტა ერთ მშვენიერ დღეს კაკულამ: მოვიტან ნამდვილს ღვინოს, ისე აღარ გავაწყალებ, მართალია, მოგება შემიმცირდება, მაგრამ ასეთ ძაღლ-უმადურ ცხოვრებას ეს მირჩევნია. სახრავი დამაკლდება, მაგრამ სახელი ისევ დამიბრუნდება და ჩვენი სირაჯული გვარი არ ამოწყდებაო.

ჩამოიტანა კაკულამ რუმბებით ნამდვილი, შეურეველი ღვინო.

განგაში დაჰკრა, რომ ამიერიდან თავისუფლად შეგიძლიანთ ნამდვილის ღვინით ჩაიგემრიელოთ ლუკმა და ჩაიკოკლოზინოთ ყელიო.

ხალხი აღტაცებაში მოვიდა, სიხარულით ჰერში ქუდს ისროდნენ.

მაგრამ, ნათქვამია, კუზიანს სამარეც ვერ გაასწორებსო, და კაკულაც ვერ გასწორდა, ძველი რჯული ვერ დასთმო. მართალია, ერთს ჩაფს ნამდვილს ღვინოს ხუთ ჩაფს წყალს აღარ ასხამდა, მაგრამ უწყლოობასაც ვერ შეურიგდა მისი ხარბი და მსუნაგი გული, მაინც აწყალებდა ღვინოს.

აღტაცებული ხალხი მიეტანა, მაგრამ უწინდელებრ ბრმად აღარ ენდნენ, ჭაშნიკს უშინჯავდნენ; უფრო გემო-გაღებულნი მუხანათობას მიუხვდნენ და შორს გაუდგნენ.

— ან ნამდვილი ღვინო და ან შენთან საერთო არა გვაქვს-რაო!.. წადი, დაიკარგეო!.. ჰყვიროდა ხალხი.

ამასობაში ერთი სხვა უბედურებაც დაატყდა თავს კაკულას.

გაცვეთილმა, გაწყალებულ, მდორე ღვინოს ჩვეულმა რუმბებმა შემაჭრებულ, მოდუღარე ღვინოს ვერ გაუძლო. ბუნებრივი ღვინო არ ისვენებდა, სდუღდა და ხან სად გამოჰხეთქავდა რუმბსა, ხან სად.

იდგა მთელი დღე კაკულა, ერთ რუმბს აკერებდა, მეორეს—ჰკუპრავდა, მესამეს პირს მაგრად აკრავდა, უნდოდა შეემაგრებინა როგორმე ღვინო, მაგრამ ერთგან დაკერებულ-დაკუპრული რუმბი ახლა მეორეგან და მესამეგან სკდებოდა და დავთარდაბნეულმა კაკულამ არ იცოდა, რა ექნა.

გონიერები ურჩევდნენ, მოხსენ რუმბებს პირი, ხალხს შეურეველი, შეურყვნელი ღვინო დაალევინე, მოიგე ხალხის გული, თორემ ეგ ღვინოც დაგექცევა, ხელიდან წაგივა და ხალხის წყევა-კრულვაც არ აგცდებაო.

მაგრამ კაკულა შთამომავლობით სირაჯი იყო, დაჩვეული ხალხის ყვლეფასა და კრეჭას, და არ ეთმობოდა.

ღვინო-კი სდუღდა, რუმბები სკდებოდა, ხალხი ჰღელავდა და იმუქრებოდა...

დიოგენი

საბა კლდიაშვილის დასაფლავება

(წერილი ქუთაისიდან)

16 ნოემბერი. დღეს შუადღისას აქ მოასვენეს 20 ოქტომბერს ადესაში ბარიკადებზე მოკლულ საბა კლდიაშვილის ცხედარი. მატარებელი და ორთქლ-მავალი წითელის ბაირაღებით იყო შემკული. ორთქლმავალს წინ ვეებერთელა წითელი ბაირაღი ამშვენებდა, ზედ-წარწერილი იყო: „გაუმარჯოს თავისუფლებას“!.. სადაც ცხედარი ესვენა, ის ვაგონი ერთიანად ყვავილებითა და მწვანე ფოთლებით იყო შემკული. ვაგონის კარებთან გარედან ორი დროშა იყო — ერთი წითელი სოციალისტ-ფედერალისტებისა და მეორე შავი—ამავე პარტიის მებრძოლ რაზმისა.

საღგურზე აუარებელი ხალხი შეიკრიბა (იქნებოდა 20 ათასამდე). მოსწავლე ქალვაჟნი) რიგ-რიგად ჩამწკრივებულნი იყვნენ სადგურიდან სობორომდე. აქვე იყვნენ ყველა პარტიის წარმომადგენელნი, თავიანთის დროშებით. მოსწავლეთა ოთხი ორკესტრი და მგალობელთა რამდენიმე გუნდი იყო.

წეს-რიგის გამგედ ცალკე ბიურო იყო არჩეული ფედერალისტთა პარტიისაგან. არც პოლიციელი და არც ჯარის კაცი არსად სჩანდა.

ცხედარს წინ მიუძღოდა 120-მდე გვირგვინი სხვა და სხვა დაწესებულების და პარტიისაგან. სხვათა შორის მშვენიერი გვირგვინები გამოეგზავნათ ტფილისის ქართველ სოც.-ფედ. პარტიას და მის მებრძოლ რაზმს, აგრეთვე გაზეთებს „ცნ. ფურ.“ „ვოზროჟდენიე“ და სხვა.

ორკესტრები „მარსელიეზა“-ს უკრავდნენ და მგალობელთა გუნდნიც ამ ხმასავე მღეროდნენ. ცხედარი მიჰქონდათ მებრძოლ რაზმს და მოსწავლეთ.

ვოგზლის ახლოს პირველი სიტყვა წარმოსთქვა სოც.-ფედ. პარტიის წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა თანამედროვე მდგომარეობა, პარტიის პროგრამა და განსვენებულიც დაახასიათა, როგორც ამ პარტიის საუკეთესო წარმომადგენელი.

სობოროს მოედანზე დიდი მიტინგი გაიმართა.

წარმოსთქვეს სიტყვები ყველა პარტიათა წარმომადგენლებმა. ერთმა ადესელმა ებრაელმაც წარმოსთქვა გრძნობიერი სიტყვა, აღნიშნა განსვენებულის თავ-განწირულება ადესაში მომხდარ ხალხის ჟლეტის დროს უმწეოთა დასახმარებლად.

აქვე მოედანზე გამოცხადდა სოც.-დემოკრ. მებრძოლი რაზმი, ერთიანად შეიარაღებული.

შემდეგ ამისა ცხედარი იმავე წესით მიასვენეს მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში და აქ მიწას მიაბარეს.

პრესსა

ჟურნალ „კავკაზსკი ვესტნიკის“ მესამე ნომერში, სხვათა შორის, ერთი უცნაური და გამოურკვეველი წერილია მოთავსებული ბ-ნის ომისა: „საქართველოს საზოგა-

---

ქუას გვეძახითო?“ მაშ რა უნდა დაგვიძახონ? ჩვენ სულ მდიდარ ხალხისათვის ვცდილობთ. ბაბოვმა ქუჩები მოურთო მდიდრებს, ღარიბებს რად უნდათ ქუჩა, ჩექმები არ გაუცვდებათ, ფეხშველები დადიანო. ნაძალადევის მამული დავყავით ნაჭრებად, უნდა ღარიბებისთვის მიგვეყიდნა საჟენი ორ შაურად. მაგრამ ეს დადგენილება შევცვალეთ და საჟენი ექვს შაურად გავხადეთ. ნუთუ ჩვენ ბურჟუა არა ვართ? დიახ, ჩვენ ზნეობით წამხდარნი ვართ. ჩვენს თავში სულ სხვა არის გამოსახული. ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა ნებას არ გვაძლევს, რომ ღარიბებსაც მივაქციოთ ყურადღება, ჩვენ სულ ჩვენი მუცლისათვისა ვზრუნავთ. თავისუფალი მოქალაქობა ამას არა თხოულობს და ამისათვის ჩვენ საბჭოში გამოსადეგნი არა ვართ. მე წავალ აქედან და ვინც გინდათ, გამომყევით! (გადის აჩქარებით).

ხალხი. ვაშა, ვაშა!

ევანგულოვი.
ხატისოვი.
ბაბოვი.
ტიგრანოვი.
ყველანი რომ წახვიდეთ, ჩვენ ფეხს არ მოვიცვლით?

შუშანიკა. ბ-ნო თავმჯდომარევ, სთხოვეთ ხატისოვს, კიდევ ილაპარაკოს! რა მშვენივრად ლაპარაკობს.

ქეთევანა და ლიუდმილა. (ერთ-ხმად ხატისოვს) Александръ Иваничъ просимъ, Говорить. Вы очаровательны!

ხატისოვი. ბ-ნო თავმჯდომარე (იკლაკნება და სათვალეებს ისწორებს). არ შემიძლიან კიდევ არ დავუმატო ჩემს სიტყვებს შემდეგი: თავისუფლება უნდა მოვიპოვოთ. ამ მოპოვებას ბრძოლა უნდა. სად ვიყავით მაშინ, როცა გალიცინმა მთელს კავკასიას ნაცარ-ტუტა აადინა. იძახდით და იძახით, ამა და ამ პარტიაში ვიყავი და ვარო. ბრძანდებოდეთ რომელ პარტიაშიაც გნებავდეთ, მაგრამ უნდა სარგებლობა მოიტანოთ!

თავმჯდომარე. გთხოვთ საგანზე ილაპარაკოთ, რაზედ ლაპარაკობთ?

შუშანიკა.
ქეთევანა.
ლიუდმილა.
ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ მაგ უსამართლობისათვის. ნუ უშლით; თქვენ არ გესმით რა არის ესტეტიკა!

ხატისოვი. დიახ, საგანზე ვლაპარაკობ! უნდა ყველა პარტიები შეერთდნენ, კავშირი უნდა იყოს მათ შორის მასწავლებელი უნდა ხალხსა. აიღეთ მაგალითი ოდესსის სტუდენტებისაგან, რომელთაც თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლაში გმირულად თავი დასდეს. ბრძოლის გეგმა უნდა შევიმუშაოთ კრებებზე, მიტინგებზე და პრესსის შემწეობით.

შუშანიკა.
ქეთევანა.
ლიუდმილა.
რა მშვენიერებაა. ნეტა მალე არ გაეთავებინა!

რამიშვილი. ბ-ნო ხმოსნებო! ცუდად არის თქვენი საქმე. ყველანი ერთ ტაფაში იწვით. რიღასიც გეშინიათ. სწორედ რომ უნდა გეშინოდეთ. იყო დრო, როცა არხეინად ისხედით ამ სკამებზე. საქმეებს შინაურულად განაგებდით! ეხლა-კი ქარიშხალი ამოვარდა. ალა-მაჰმად-ხანი შემოგესიათ და ნაცარ-ტუტა აგადინათ. თქვენ გინდათ კარგად იმოქმედოთ, მაგრამ ზნეობით წამხდარნი ხართ და საქმით სხვა გამოდის. რა ძნელი მიხვედრა უნდა, ბურჟუას მეტი ვერ მოეთხოვება! ვინ მოგცათ ამოდენა სიმდიდრე? ეგ სიმდიდრე მოგცათ მუშა ხალხმა და ამ ხალხს დღეს აქ ხმა არა აქვს და თქვენ ბატონობთ! რისთვის? ეხლა ამ მუშა ხალხმა გაიღვიძა, ეხლა პროლეტარიატი მოდის, გზა მიეცით, გასწით, დაიქსაქსენით აქედან, თქვენ სოროებში შეძვერით. თქვენი „აბდა უბდას“ ლაპარაკით არა გამოვა რა: დღეს ერთს ამბობთ, ხვალ მეორეს. მაშ გაუმარჯოს პროლეტარიატს! ძირს აპეკუნები, ძირს!

ხალხი. ვაშა, ვაშა!

კ. ჯაფარიძე. იწილო, ბიწილო, შროშანო, გვრიტილო, ალხო, მალხო, ჩიტმა გნახოს, შენი ფესვი, ფესვმა მდუკი, აბდაუბდა, გადასკუპდა, აჯექ-დაჯექ, ნეფევ ჩაჯექ!..

თავმჯდომარე. ბ-ნო ჯაფარიძე, ნებას არ მოგცემთ ილაპარაკოთ ის, რაც საქმეს არ შეეხება.

ჯაფარიძე. შეეხება საქმეს, როგორ არ შეეხება. თავმჯდომარევ, ეგ უკანონობაა, ნებას არ იძლევით, ადამიანმა თავისი აზრი გამოსთქვას! აი განვაგრძობ: იუსპრუდენცია, ასოციაცია, რევოლიუცია, ადმინისტრაცია და ემანსიპაცია მოითხოვს საბჭოს წევრების განახლებასა. მაშ გაუმარჯოს დღევანდელს მოძრაობას, გაუმარჯოს პროლეტარიატს! ძირს ბურჟუა, ძირს საბჭოს ხმოსნები, ძირს!..

ხალხი. ძირს, ძირს, ვაშა, ვაშა! გაუმარჯოს ორატორს!...

სოც.-რევოლიუციონერი. მიწა მიეცით გლეხებს, მიწა. მიწა გაჭმევს პურს!

დროშაკისტი. ოსმალეთში ისეთი ამბებია, აქ კი თქვენ ჩამსხდარხართ სავარძელში რბილად და ხვრინავთ!

სოც.-ფედერალისტი. მე ფედერალისტი ვარ. აქ იმიტომ-კი არ მოვედი, რომ ჩემი აზრი გამოვსთქვა, მხოლოდ მინდოდა ამ საბჭოში თქვენის მასხარაობისთვის მეყურნა. მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ ფედერაცია საჭიროა.

შუშანიკა. მე, ქეთევანა და ლიუდმილა მოვედით ხატისოვის ყურის დასაგდებად. სწორე მოგახსენოთ, კარგად ილაპარაკა ალექსანდრ ივანიჩმა. Браво, Браво, Александръ Иваничъ!

ხატისოვი. (თავის კვრით გადის).

თავმჯდომარე. (ზარს არაწკუნებს). ეგრე არ შეიძლება ლაპარაკი, გაჩუმდით.

გაზ. „კავკაზ“ ი. ეხლა მე მეკუთვნის სიტყვა. მოგახსენებთ: ხვალ, დილის 11 საათზედ, სამხედრო სობოროში დანიშნულია წირვა და პანაშვიდი წმინდა კირილესა და მეფოდის სულის მოსახსენებლად. ვისაც დასწრება უნდა პანაშვიდზე უნდა პარადნი ფორმა ეცვას!

გაზ. „ნოვ. ობოზრენიე“. ამხანაგებო! გთხოვთ, მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ. ამას გარდა ავტონომიას მალ-მალ ნუ ახსენებთ.

გაზ. „ტიფ. ლისტ.“ ბ-ნო თავმჯდომარევ, სანამ ჩემს აზრს გამოვსთქვამდე ეს შემატყობინეთ: ვსთქვათ ახალი ხმოსნები მოვიდნენ ტფილისის საბჭოში, მაშინ ხომ არ მოესპობა განცხადებები ჩემს გაზეთს?

თავმჯდომარე სრულებითაც არა. დარწმუნებული ვარ კიდევაც მოემატება.

გაზ. „ტიფ. ლისტ.“ მაშ ყაბულსა ვარ, გამოსცვალეთ ხმოსნები, ოღონდ ნუ კი გამომელევა განცხადებები.

გაზ. „ვოზროჟდენიე“. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩავვარდი. ჩემი რედაქცია სავსეა სოციალ-რევოლიუციონერებითა სოციალდემოკრატებითა და გუშინ წინაც რედაქციაში ამოჰყო თავი სამმა ხულიგანმა, რედაქტორთან ძალიან საჭირო და საიდუმლო საქმე გვაქვსო.

გაზ. „კავკ. კრაი“. Меня не оцѣнили грузины! простите, я погрузински не говорю. мой девисъ армянъ по мордѣ. На Араратъ, на Араратъ!.

გაზ. „ივერია“. ამხანაგებო! მომეცით 20,000 ხელის მომწერი და იმდენი განცხადება, რამდენიც „ტიფ. ლისტ.“-სა აქვს და მაშინ გამოვსთქვამ ჩემს აზრს.

გაზ. „ცნ. ფურცელი“ ჩვენი აზრი უკვე გამოვთქვით. ამის დასამტკიცებლად ვადგენთ ჩვენის გაზეთის ნომერს, სადაც ამ საგანზე მოთავსებულია წერილი.

თავმჯდომარე. ამ წერილის შინაარს რეზოლიუციის შემუშავების დროს მხედველობაში მივიღებთ.

გაზ. „მოგზაური“. ჩემი აზრი მშვენივრად დაასურათა ჩემმა თანამშრომელმა ჯაფარიძემ და ამის შემდეგ სათქმელი აღარა მაქვს რა!...

გაზ „მშაკი“. საეკკლესიო მამულები ხომ დაგვიბრუნდა და სათქმელი აღარა მაქვს რა. ჩემი საქმე ეხლა ეკკლესიების კტიტორების არჩევაა. გთხოვთ, კანდიდატები დაასახელოთ.

თავმჯდომარე. ამხანაგებო! საგანი საკმაოდ გამოირკვა, ეხლა დროა რეზოლიუცია შევიმუშაოთ.

ტიგრანოვი. რის რეზოლიუცია, რის ფლავი და ბოზბაში: ხმოსნები სულ წასულან, მარტო მე და თქვენღა ვართ აქ!

ხალხი. აბა მაგისთანა ხალხმა უნდა აწარმოოს საქმე. რეზოლიუციის დროს ყველანი გაფანტულხართ. რა ხეირი უნდა ვნახოთ თქვენში?.

თავმჯდომარე. რადგან ხმოსნები მიიფანტნენ, იძულებული ვარ კრება შემდეგისთვის გადავდო.

(ფარდა ნელა-ნელა დაეშვება)

მერანი

---

*) ეს მოწოდება გუშინ-წინ მივიღეთ, მაგრამ უადგილობისა გამო ვერ დავბეჭდეთ. რედ.

დოებრივი აზრი და 'პარტიები“. წერილის ავტორს თავისი ტურისტული ცოდნა ქართულ ცხოვრების ზედაპირისა უხვად შეუზავებია უზომოდ გალაღებულ ფანტაზიით და ასეთი ფარხმალით შეიარაღებული აცნობს ჟურნალის მკითხველებს საქართველოს ცხოვრებას. ათს თუ თერთმეტს ფურცელზე ბ-ნი ომი მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს კულტურულ ისტორიასაც აცნობს და ეხლანდელ მდგომარეობის სურათსაც ჰხატავს. აჩქარებით სოფელი არავის აუშენებია და, რა თქმა უნდა, ვერც ბ-ნმა ომმა ააშენა: საქართველოს ისტორიისა და აწმყო მდგომარეობის ნაცვლად ამ უებრო პუბლიცისტმა მიაწოდა მკითხველებს მხოლოდ თავის პუბლიცისტურ ოცნების უნიადაგო ნაყოფი.

ქართულ ცხოვრებაშიო, სწერს ბ-ნი ომი, შეიძლება ამგვარად აღვნიშნოთ სამი მთავარი პარტია—ნაციონალისტური, ინტელლიგენცია და მესამე დასი.

გამოდის, რომ ქართველები რაღაც ახირებული და უცნაური ხალხი ყოფილა, რომლის ინტელლიგენცია ცალკე პარტიას შეადგენს და თვით ხალხი კიდევ ცალკე იყოფა ორ პარტიად, ნაციონალისტებად და მესამე დასელებად. ეს ახირებულობა, ცხადია, ქართველ ერის თვისება არ არის, ხოლო რაც შეეხება ბ-ნს ომს,—ამისი-კი რა მოგახსენოთ. ვინც ყურებში ბამბა ჩატენილი და თვალდახუჭული არა სცხოვრობს, ვისაც ოდნავ მაინც უდევნებია თვალყური თუნდ მხოლოდ ქართულ პრესსისთვის, იმან კარგად იცის, რომ ამ ჟამად არსებობს ორი პარტია, სოციალ-დემოკრატების ანუ მესამე დასელების და სოციალის-ფედერალისტების, რომელთაც ერთმანეთთან ხშირად ცხარე კამათი მოსდით; ბურჟუაზიული, ლიბერალური და ნაციონალისტური ელემენტები ქართველის ხალხისა დღევანდლამდე პარტიას არ შეადგენენ და გაერთიანებულ საზოგადოებრივ ძალას არ წარმოადგენენ. მაგრამ ბ-ნ ომისთვის ნამდვილ ფაქტებს, ალბად, მაგრე რიგად დიდი მნიშვნელობა არა აქვს და იმის ფანტაზიაში გაჩენილს უცნაურ პარტიებს ქართულს ცხოვრებას აწერს. კაცია და გუნება, ასკილი და კუნელაო!..

ბ-ნ ომის ყველა უთავბოლობის აღსანიშნავად ჩვენ არც ადგილი გვაქვს და არც დრო. ამიტომ მხოლოდ სანიმუშოდ მოვიყვანთ ბ-ნ ომის წერილიდან იმ ადგილს, რომელიც შეეხება მესამე დასელების პარტიის დაარსებას და განვითარებას. აღიარებს რა მესამე დასის სულის ჩამბერველად ერთს ჩვენს საზოგადოებაში კარგად ცნობილს პუბლიცისტს, რომელიც რამდენისამე წლის წინად იძულებული იყო „სხვა და სხვა მისგან „დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო“ გაშორებოდა საქართველოს მიწა-წყალს, ვიდრე ახალი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრება არ დამყარდებოდა, ბ-ნი ომი მოგვითხრობს:

> როგორც პუბლიცისტი მაგრე რიგად ვერაფერი შვილი იყო ის და ამიტომ საქართველოს ფართო კულტურულ წრეების თანაგრძნობა ვერ მოიპოვა; იმის გულ-უბრიყვილოდ დაწერილი სტატიები ქართველ ინტელიგენციის წრეებში მეტად გულცივად მიიღეს, რის გამოც მეტად გაბრაზებული იყო თავმოყვარე და, რაც უმთავრესია, თავის თავ შეყვარებული პუბლიცისტი, რომელმაც ბოლოს-ბოლოს გამოაცხადა გალაშქრება ინტელიგენციის წინააღმდეგ და დასწამა იმას ბატონყმობის მოტრფიალე და ფეოდალური მისწრაფებანი. ამ ლაშქრობას მიემხრნენ ყველანი, ვისაც კი ბედმა არ გაუღიმა და, როგორც საქართველოს საზოგადოებრივ ნადიმის გარეშე დარჩენილნი, გაბრაზებულნი და გაბოროტებულნი იყვნენ. ეს თავისებური კოალიცია თავის თავს პროგრესსის უეჭველს მომხრედ აცხადებდა და ამ მხრივ პრინციპიალურად მაინც ინტელიგენციასთან საერთო ნიადაგზე სდგებოდა, მაგრამ ამის და მიუხედავად ინტელიგენციაზე მაინც მეტად მძვინვარე იერიშები მიჰქონდა. მესამე დასელებმა ქართველთა ცხოვრებაში გამოიჩინეს, რომ ისინი აუტანელნი იყვნენ, და რათა ამოეფხვრათ თავის მძულვარების საგანი, ინტელიგენცია, არაფერს საშუალებას არ ჰზოგავდნენ, უკავშირდებოდნენ უწმინდურ ნაციონალისტურ პარტიებს და უფრო ბინძურს პალმის დროის „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ს...

მესამე-დასელებთან ანუ სოციალდემოკრატებთან ჩვენ ბევრი სადავო და საკამათო საგანი გვაქვს, მაგრამ არ შეგვიძლიან ბ-ნ ომის სიტყვების გამო არ აღვნიშნოთ, რომ მესამე-დასელების პარტია არც პირად ინტერესების ნიადაგზე აღმოცენებულა და არც ბედოვლათებისაგან ყოფილა შემდგარი. მესამე-დასელების მეთაურები ხშირად ცხარედ ეკამათებიან თავის იდეიურ მოწინააღმდეგეებს, ხშირად სისასტიკესაც იჩენენ, მაგრამ ჩვენ ხმა-მაღლა უარვყოფთ იმ პარტიის გამათახსირებელ ცილისწამებას, რომელიც ბ-ნ ომის ფეხ-მოკლე და ფერ-მკრთალ პუბლიცისტურ ფანტაზიას შეუქმნია.

აი ასეთის პერლებით არის სავსე ბ-ნ ომის წერილი! ჩვენში ხშირად გაიოცებენ ხოლმე, რატომ ჩვენი ცხოვრების ნამდვილს სურათებს და ცნობებს არ იძლევიან უცხოეთის და სატახტო ქალაქების ჟურნალ-გაზეთებიო. როგორც მკითხველი ჰხედავს, თურმე ტფილისში, საქართველოს კულტურულ ცხოვრების ცენტრშიც შესაძლო ყოფილა ყალბი დახასიათება ქართულის ცხოვრებისა და ამას შემდეგ რაღა უფლება გვაქვს, ჩვენგან რამდენიმე ათასი ვერსით დაშორებულ ჟურნალ-გაზეთებს მოვთხოვოთ, რომ ჩვენი ცხოვრება სიცრუით და გამოგონილ ფაქტებით არ დაამახინჯონ?

ჩვენის ფიქრით, ბევრად უმჯობესია, „კავკაზ. ვესტ.“ რედაქციამ სრულიად ხელი აიღოს საქართველოს შესახებ წერაზე, თუ ვერ მოუხერხებია ისე მოაწყოს ეს ნაწილი, რომ სიმართლის მაგიერ სიცრუეს არა სწერდნენ მისი თანამშრომელნი.

რუსეთი

ყაზახების თვით-ნებობა. მოსკოვის საგუბერნიო ერობამ ამბავი მიიღო ყაზახების მხეცურ მოქმედების შესახებ ბალაშოვის მაზრაში. ისინი სცემენ, სძარცვავენ, აუპატიურებენ დედაკაცებს და ჰხოცავენ ხალხს. სოფ. კლიუჩში ყაზახებმა საერობო უფროსის თვალწინ და იმის ბრძანებით ძალზე აიკლეს ხალხი.

პოლიციის გაძლიერება. პეტერბურგმა პოლიციის გასაძლიერებლად 480 ათასი მანეთი გადასდო. განზრახულია პეტერბურგის საპოლიციო შტატს მიუმატონ კიდევ პოლიცმეისტრის ორი თანამდებობა, პოლიციის ოფიცერთა და დაბალ მოსამსახურეთა.

ხულიგანის მეგობარი გუბერნატორები. გუბერნატორები: იაროსლავისა—კამერჰერი როგოვიჩი, ესტლიანდიისა—ლოპუხინი, ყაზანისა—ხომუტოვი, ტომსკისა—აზანჩევსკი-აზანჩეევი და პერმისა—ნაუმოვი თანამდებობიდან გადააყენეს. პრესა და საზოგადოება ამათ აბრალებდა ხულიგანებთან ერთად უდანაშაულო ხალხის ამოჟლეტას.

გლეხთა მოძრაობა. გლეხთა მოძრაობა თითქმის მთელ რუსეთს მოედო. სხვათა შორის, მოსკოვის საგუბერნიო ერობის გამგეობას მიუღია ცნობა, რომ მოსკოვის გუბერნიის ბევრ მაზრაში გლეხებმა ერთხმად გადასწყვიტეს, არ გაიღონ არავითარი გადასახადი, არც სახაზინო და არც სხვა, სანამ საქმით არ განხორციელდება ყველა ის, რაც 17 ოქტომბრის მანიფესტშია გამოცხადებული. მოსკოვის საგუბერნიო საპატიმრო სავსეა გლეხებით. მარტო ამ სატუსაღოში 1000 გლეხია დაპატიმრებული. ყოველ დღე მიჰყავთ გლეხები ბევრი სამოც-ოთხმოცი წლის მოხუცია.

სოც.-რევოლიუციონერთა პარტია

დადგა დღეები კრების თავისუფლებისა და თავისუფალმა სიტყვამაც ფრთა შეისხა. დაწყევლილი პირობები ძველ რეჟიმისა ყველას სულს უხუთავდა და სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიასაც ხელს უშლიდა, რომ თავისი აზრები გაევრცელებინა. არა თუ საზოგადოდ ხალხი, მუშების უმეტესობაც-კი სრულებით არ იცნობდა აქამდის ამ პარტიის პროგრამას და ამიტომ იმდენი მომხრეც არა ჰყავდა, რამდენიც სხვებს. ამიტომ ბევრს ეგონა, რომ ეს პარტია მართლაც ძველ ნაშთების უდროოდ აღორძინებაა და მუშათა შორის მიმდევარს ვერ იპოვისო. მაგრამ დადგა დღე თავისუფლებისა, პარტიამაც თავისუფლად გამოსთქვა თავისი გულის ნადები და სურათი შეიცვალა. სულ რამდენსამე დღეში პეტერბურგს პარტიამ მუშათა შორის დიდი თანაგრძნობა მოიპოვა.

1 ნოემბერს პუტილოვის ქარხანაში მიტინგი გაუმართავთ. ამ მიტინგზე გამოსულან სოციალისტ-რევოლიუციონერთა ორატორები და აუხსნიათ მუშებისათვის პარტიის პროგრამმა, რომელსაც დიდის ტაშის კვრით და ვაშას ძახილით მიჰგებებიან. მეორე მიტინგზე 6 ათასი მუშა ყოფილა. აქ ყოფილან როგორც სოც.-რევოლიუციონერები, ისე სოციალდემოკრატები. მუშებს მიუღიათ სამი რეზოლიუცია. პირველი რეზოლიუცია შეუდგენიათ მუშათა დეპუტატებს, მაგრამ სოც.-რევოლიუციონერებს შეუსწორებიათ; მეორე რეზოლიუცია, როგორც ეტყობა, საერთო ყოფილა, რადგან იგი შეეხება ვიტტეს მუშებისადმი მოწოდებას; მესამე სავსებით ს.-რევოლიუციონერებისაა. ეს რეზოლიუცია შეეხება აგრარულ მოძრაობას. რეზოლიუციაში ნათქვამია: ამხანაგო მუშებო და მშრომელო გლეხებო! შემოუერთდით ჩვენს მოთხოვნას, რომ მთელი მიწა: კერძო, სახაზინო და საუფლისწულო, საკაბინეტო და საგლეხო სულ ერთიან ხალხის საკუთრებად იქნეს გამოცხადებული გამოუსყიდლად. ეს მიწა უნდა გადაეცეს თვითმართველობის ორგანოებს სასოფლო და საქალაქო თემების საბჭოებს, არჩეულთ საყოველთაო, პირდაპირ, ფარულ და თანასწორ კენჭის ყრით. ესენი სავსებით დააკმაყოფილებენ მცხოვრებთ და მიუზომავენ მიწებს როგორც თემებს, ისე ამხანაგობებს იმ პირობით, რომ ამათ ისარგებლონ თანასწორად ან საზოგადოდ“.

2 ნოემბერსაც ობუხოვის ქარხანაში შეერთებულ მიტინგს მიუღია იმავ დეპუტატთა რეზოლიუცია, მხოლოდ სოც.-რევოლიუციონერების შესწორებით. იმავ 2 ნოემბერს არტურ კეპპელის მუშათა საერთო მიტინგმა დაადგინა, მოუწოდოს მუშებს შესაერთებლად სოციალისტ-რევოლიუციონერთა დროშის ქვეშ.

3 ნოემბერს მიტინგი იყო ერთკსონის ქარხანაში, სადაც განხილულ იქნა ვიტტეს დეპეშა რკინის გზის ქარხნის პატრონთა მიმართ. აქაც მუშებმა სოც.-რევოლიუციონერების რეზოლიუცია მიიღეს, რომელშიაც პროლეტარიატის თხოვნას მშრომელ გლეხთა მოთხოვნასაც უერთებენ. იმავ 3 ნოემბერს პუტილოვის ქარხნის ვაგონების სახელოსნოებში გაიმართა მიტინგი. ილაპარაკა სოციალისტ რევოლიუციონერმა. ორატორი შეეხო საადგილ-მამულო საკითხს და სამრეწველო პროლეტარიატის დამოკიდებულებას გლეხებთან. რეზოლიუციაში აღნიშნული იყო, რომ პროლეტარიატმა მთელ მშრომელ ხალხთან ერთად უნდა მოითხოვოს მიწის თანასწორი საზოგადო სარგებლობაო, მუშები ამ მოთხოვნას ერთხმად დაეთანხმნენ. ამ დღეს სოც.-რევოლიუციონერთა ორატორებმა კიდევ სამ მიტინგზე გაიმარჯვეს.

4 ნოემბრის მიტინგზე ტყავის ქარხანაში მუშებმა კიდევ სოც.-რევოლიუციონერთა რეზოლიუცია მიიღეს. 5 ნოემბერს პუტილოვის ქარხნის საზარბაზნო განყოფილებაში მუშებმა, სხვათა შორის, გამოაცხადეს, რომ ვთხოულობთ პურს მუშებისათვის, მიწას გლეხებისათვის და თავისუფლებას ხალხისათვისაო. „გაუმარჯოს მიწის სოციალიზაციასაო!“ ამ სიტყვებით თავდება რეზოლიუცია.

3 ნოემბერს სოციალისტ-რევოლიუციონერებმა კიდევ გაიმარჯვეს პუტილოვის ქარხნის ერთ სხვა განყოფილებაში, ხოლო 5 ნოემბერს—რკინის გზის მუშათა მიტინგზე. იმავ 5 ნოემბერს სოც.-რევოლიუციონერთა რეზოლიუცია მიიღეს ლანგენზიხენის და ვესტინგაუზის ქარხნის მუშებმა. პუტილოვის ქარხნის ერთ განყოფილებაში მუშებმა კენჭი უყარეს შემდეგ საკითხს: საჭიროდ მიაჩნიათ თუ არა მუშებს, მოითხოვონ, მიწა გადაეცეს მშრომელ ხალხს იმ პირობით, რომ თანასწორად და საზოგადოდ ისარგებლონ. კენჭის ყრის შემდეგ დიდი უმრავლესობა მომხრე აღმოჩნდა.

რათა მკითხველი მიჰხვდეს, თუ რა დიდი გამარჯვებაა ეს გამარჯვება, საჭიროა ვთქვათ, რომ მარტო პუტილოვის ქარხანა, რომელიც სოც.-რევოლიუციონერებმა თითქმის სულ ხელთ ჩაიგდეს, ათიათას მუშას შეიცავს. რა თქმა უნდა, ეხლა ვეღარავინ იტყვის, რომ ხსენებული პარტია მშრომელ ხალხის პარტია არ არისო.

ღია წერილი

განჯის პოლკის კაპიტანს ბ-ნ დ. ართმელაძეს *)

„ცნობის ფურცლის“ მე-2942 №-ში მოთავსებული იყო თქვენი წერილი 22 ოქტომბერს უდანაშაულო ადამიანთა ჟლეტა-ხოცვის საქმეში განჯის პოლკის მონაწილეობა—მოქმედების შესახებ.

ბ-ნო დავით! თქვენ ამბობთ: „ქუჩაში მიმავალ განჯის პოლკის როტებს (და არა ერთ როტას) „ნიუ-იორკის“ სასტუმროდან ყოვლად უმიზეზოდ სროლა აუტეხეს... ტყვიით გახვრეტილი პაგონი ერთის ჩვენის ამხანაგისა და მუნდირი სალდათისა აშკარად ამტკიცებს ამასაო“...

მე გეკითხებით: დანამდვილებით იცით, რომ ესროლეს როტებს? ისიც ხომ იცით, რომ როტის უფროსს კიდევ უფროსი ჰყავდა, ბატალიონის კომანდირი, და რატომ ამ უფროსის უბრძანებლად ასტეხეს სროლა? ამას მოწმობს თვით ბატალიონის უფროსის წერილი, თავის ნაცნობთან მიწერილი. ამ წერილში ნათქვამია, რომ როტის უფროსმა, სანამ მე ბატალიონს გავშლიდი, ჩემდა უბრძანებლად ასტეხა სროლაო! ვთქვათ, როტის უფროსმა თავის დასაცველად (როგორც თქვენ ამბობთ) ასტეხა სროლა, მაგრამ სროლაცაა და სროლაც. განა არა კმაროდა ერთი „ზალპი“? ოღონდაც რომ კმაროდა, მაგრამ როტის უფროსი ამას არ დაკმაყოფილდა და მთელ ნახევარ საათის განმავლობაში „პაჩკა“-თ ისროდა ხოლო „პაჩკით“ სროლა უკანასკნელი ღონისძიებაა, როცა, ომის დროს, ორი მოპირდაპირე მტერი ერთი მეორეს 200-300 და 400 ნაბიჯზე დაუახლოვდება. ეს თქვენ კარგად მოგეხსენებათ, როგორც როტის უფროსს. მერე რომელ მოსისხლე მტერთან ჰქონდა საქმე იმ როტის უფროსს? ჰო, მართლა, „უსტავი“ ამბობს: შინაური მტრები, წეს-რიგის დამრღვევლნიო. ამის ჩამდენნი ხომ ხულიგანები, პატრიოტები იყვნენ?!

შემდეგ ამბობთ:... „როტამ ტყვიით მიმართა იმ სახლებს, საიდანაც ტყვიები ცვიოდა (განა ეს დასაჯერებელია, რომ როტებზე ტყვიები ცვიოდა და ერთი ჯარის-კაცი-კი არ დაჭრილა ან არ მომკვდარა?), მაგრამ ესროდა მხოლოდ (?) კედლებს (?!).. სახლის წინა ოთახებში არც მკვდარი, არც დაჭრილი არ აღმოჩნდაო. ხოლო რაც შეეხება იმ უბედურებას, რომელიც დატრიალდა სახლის უკანა ოთახებში (მკვდრები ეყარნენ), ამაში განჯის პოლკი პასუხს ვერ აგებს (თუ არ აგებს?).

რატომ, ბ-ნო დავით? მაშ ვისის ტყვიებით დახოცილნი აღმოჩნდნენ უკანა ოთახებში? რატომ არ ასახელებთ, თუ მართლა დამნაშავენი არა ხართ და თავის გამართლება გსურთ! უეჭველად უნდა დაგესახელებინათ, განჯის პოლკის გარდა კიდევ ვინ ესროლა თოფები „ნიუ-იორკს“.

მიიღო თუ არა მონაწილეობა ხოცვა-ჟლეტა ძარცვაში განჯის პოლკმა, ამას საზოგადო, ხალხის სასამართლო გამოარკვევს და არა ასეთ შემთხვევებში ხელის დამფარე, ჩამდუჩეჩებელი ბიუროკრატი, თვითმპყრობელობის მონა-მორჩილი გამომძიებელ—პროკურორი. ხომ მოგეხსენებათ, რომ არიან მოწმენი, რომელთაც კარგად იციან, ისროდნენ სახლებიდან თუ არა?

დასასრულ, შეგეკითხებით: განა არ იცნობთ თქვენს ამხანაგს, იმ როტის უფროსს, რომელმაც თოფი დაუშინა „ნიუ-იორკს“? იქნებ არც ის იცით, რომ ამავე აზრით მდგომარე წელს მანვე ალყა შემოარტყა „პოგრანიჩნი პოსტს“ ერთ ადგილს, მხოლოდ იმიტომ, რომ ორმა „პოგრანიჩნიკის“ მთვრალმა სალდათმა ბაზარში ერთ „ობხოდს“ ხელი დაარტყა, ქუდი წაართვა და გაიქცა. „ობხოდმა“ (ორი თუ სამი სალდათი იყო) ამ თქვენ ამხანაგს, როტის უფროსს, მოახსენა ეს ამბავი (იმ დღეს როტის უფროსი მორიგე იყო). როტის უფროსმა წამსვე წაიყვანა ნახევარი როტა, ღამე ალყა შემოარტყა „პოსტს“ და აჯანყების ხასიათი მისცა. ამ წინდაუხედავ, არაკანონიერ მოქმედებისთვის პოლკის უფროსმა ბრძანებაში შენიშვნა და საყვედური გამოუცხადა. იქნება არც ის იცით, რომ ერთი თქვენი ამხანაგი (პროფესიით) ცილის წამებით დაატუსაღეს და როცა ხსენებული როტის უფროსი მორიგედ იყო, ყარაულის უფროსებს უბრძანებდა ხოლმე: გაზეთებიც-კი არ მისცეთ ტუსაღს წასაკითხადაო.

ბ-ნო დავით! ყველა ეს ასე იყო, თქვენც კარგად იცით და კიდევ არა გჯერათ (იქნება სხვა მიზეზია?), რომ ის თქვენი ამხანაგი, როტის უფროსი, სწორედ რომ „ინსტრუქციის“ მონაა და შემთხვევას ეძებს გამოჩენისთვის! თქვენ-კი ამართლებთ!..

წერილის დასასრულ ამბობთ: „განჯის პოლკს ძარცვა-გლეჯაში მონაწილეობა არ მიუღიაო“. „ივერიის“ მე-199 №-ის ახალ ამბებში ვკითხულობთ: განჯის პოლკის სალდათებს „პურ-დვინოს“ შესავლიდან გაუტეხიათ მაღაზიის უკანა კარები; რის წაღებაც შეიძლებოდა, წაუღიათ, დანარჩენი დაუმტვრევიათ. ხოლო „ნიუ-იორკის“ სასტუმროს პატრონის, ალექსი კოკაიას წერილი („ცნ. ფურც.“ №-2951-ში) ხომ ნათელს ჰფენს პოლკის საქციელს. ახლა რას იტყვით, ბ-ნო დავით? იქნება სთქვათ, ბ-ნი კოკაიაც და „პურ-დვინოს“ პატრონიც სტყუიანო? ამასაც ვნახავთ.

ეს ნამდვილი ძარცვა-გლეჯაა, „მარადიორობაა“, ბ-ნო დავით! და რა მიზეზია, რომ მაინც და მაინც განჯის პოლკს ასახელებენ და არა ტფილისის ან მინგრელსკის პოლკებს?

ვნახოთ, სამართალი ყველაფერს გამოარკვევს და მაშინ ან თქვენ იქნებით მტყუანი და ან სალდათ-ყაზახების ტყვიებით გულ-განგმირული მოქალაქენი და პაწია მოწაფეები, რომელნიც უკვე სიკვდილით დაისაჯნენ.

აფიცერი.

წერილები.

ზემო-ქართლი. ერთი პირი მარგებელიაო, ნათქვამია და მართალიც არის. თუმცა ამასწინად ზემოქართლელები ძალზედ შეშინდნენ და დაღონდნენ, რომ სოფლებში ეგზეკუციებს უყენებდნენ, ხალხსაც ბევრს იჭერდნენ და ჰგზავნიდნენ კავკასიის თუ რუსეთის სხვა და სხვა საპყრობილეში, მაგრამ დღეს ისევ სხვანაირად დატრიალდა საქმე და ზემოქართლელები ისევე გამხნევდნენ და გამხიარულდნენ. ტუსაღებიც შინ მოუვიდათ და ეგზეკუციებიც მოეხსნათ. დაბრმავებულს და გონება დაბნეულ ბიუროკრატიას ეგონა, ბევრს რომ დავიჭერ ცივს ქვეყნებში გადავკარგავ ან მკვიდრთაც ეგზეკუციით გავანადგურებ, ხალხი შიშით კანკალს დაიწყებს და ისევე ძველებურად დამემონებიანო, მაგრამ ველარ მიართვეს, რეპრესიულმა ზომებმა ხალხი უფრო გაამხნევა და აამხედრა ისე, რომ ველარავითარი ძალა, ველარავითარი ძველი რეჟიმის უკულმართი პოლიტიკა ველარ შეაყენებს და მოატყუებს. ფიალა აივსო, ყველა საწყაო გადმოვა, მეტის მოთმენა ყოვლად შეუძლებელია, ან სულ უნდა გაწყდნენ, ან თავისი უნდა გაიტანონ. დღეს ყველამ აშკარად დაინახა ჩვენის „მფარველ“ ბიუროკრატიის უსამართლობა და ყველა დარწმუნდა იმის მტარვალობას. იმართება ყველგან მიტინგები წითელის დროშებით და ერთხმად დიდით პატარამდე იმას გაიძახიან, რომ მარტო დღევანდელი მანიფესტები ვერ დააკმაყოფილებს მშრომელ ხალხს: მშრომელ ხალხს ესაჭიროება მიწა და ამის შეძენისთვის-კი საჭიროა ბრძოლა, ბრძოლა და ბრძოლა. ზემო ქართლელნიც, იმედებით და სიხარულით გამსჭვალულნი, ერთი ერთმანეთს ეფიცებიან: ან სულ გასწყდნენ და ან თავიანთი გაიტანონ.

ამ ორიოდე კვირის წინ, როდესაც მთელი სოფლები ჯარით და ყაზახ-რუსებით იყო სავსე, გადამხდევინებელი კომისიაც გომში იყო დაბინავებული მრავალის ჯარით, მთელი ზემო ქართლის მემამულეები იარაღით შელესილნი იქ იკრიბებოდნენ, ხალხს ეგზეკუციით სინდიკატში აზიდინებდნენ პირნახულს, ნაღდ ფულს იღებდნენ სინდიკატისაგან და დუდუკზე ქეიფობდნენ. აქაური მემამულენი ამ მოძრაობას და არეულობას სულ პრესას აბრალებენ. ამას წინად, პრესის თავისუფლებამდე, გომის სადგურზე შევხვდი ერთს მებატონეს, რომელიც ისე იყო შელესილი იარაღით, რომ [illegible] ზარბაზანი აკლდა. ვკითხე, კნიაზო, [illegible] ამბავია, რომ ეგრე შეიარაღებულხართ მეთქი?! მან მიპასუხა: „ეს სულ პრესის ბრალია და თქვენმა ჟღაბნამ შეგვაიარაღა და ლამის გლეხობას და ჩვენ ერთმანეთი ამოგვაწყვეტინოთო“. საკვირველი და საოცარია, ღმერთმანი, მემამულეების საქმე, რომ ასე ეწინააღმდეგებიან მოძრაობას თავიანთ პირად ინტერესებისათვის.

სერგი ხუცესი

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

საზიზღარ ამბის მოწამე შევიქენი ამ ორიოდე დღის წინად. აქვე მოგითხრობთ ამ ამბავს, რომ გაიგოთ, ჩვენი გზა-კვალ დაბნეული ბიუროკრატია რა ვაჟბატონებს აბარებს მოსწავლე ახალ-გაზდობის ბედ-იღბალს.

ეჭვი არ არის, გაგიგონებიათ სეხნისის სასწავლებელი, სადაც სწავლობენ უფრო ღარიბ თავად-აზნაურთა შვილები, ესე 9-10 წლისანი. 13 ნოემბერს, საათის 3-ზე, ვინც-კი გაივლიდა ავჭალის ქუჩაზედ, ნახავდა უპატრონოდ დატოვებულ, ქუჩა-ქუჩა მოსიარულე ერთნაირ ხალათებში გამოწყობილ 9-10 წლის ყმაწვილებს, უქუდო—უპალტოვო—უქამროებს და მშიერ-მწყურვალებს. ყმაწვილები დაეძებდნენ თავიანთ პატრონებს. ესენი იყვნენ ზემოხსენებულ სასწავლებლის მოწაფენი.

ერთი მათგანი, რომელიც ჩემთან უნდა მოსულიყო (პატარა არის და ადრესი არ ახსოვდა) თავის ამხანაგებით მე ვიპოვნე ქუჩაში. ამ ამხანაგებს გვარები გამოვკითხე და, როგორც იყო, პატრონებს ჩავაბარე. დარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ერისთავი, ჩემთან წავიყვანე და გამოვკითხე ყველაფერი. ყმაწვილებმა მიამბეს:

„სასწავლებლის ზედამხედველმა დაგვითხოვა გუშინ, რადგან ქაღალდები უბეში ჩაგვიდო და ძველი სალდები ჩაგვაცვა. მერე ერთ „მეტაჩკეს“ დაუძახა, რომელმაც ერთ „ტაჩკაში“ თოთხმეტი ყმაწვილი ჩაგვსხა და გამოგვაქანა ტფილისისაკენ. აქ მოგვიყვანა მეტაჩკემ. ჩამოსვლისას რამდენსამე მოწაფეს პალტოები, ქუდები და ქამრები დაგვიპყრა და გვითხრა: წადით, მანეთ ნახევარი მოიტანეთ თითომ და თქვენი ტანისამოსი წაიღეთო. როდესაც ჩვენ თხოვნა დავუწყეთ, ტანისამოსი მოგვეცი და პატრონებთან წაგვიყვანეო, იმან გვიპასუხა, „მე ნაბრძანები მაქვს სკოლის სმატრიტელისაგან: ვინც ფულს არ მოგცემს, ტანთ გახადე, აქ მომიტანე და მე მოგცემ ფულსო“. ჩვენც წამოველით პატრონების საპოვნელად და ზოგნი ქუჩებში დავკარგეთ. გზაში პურს ვთხოულობდით და ისე ვკვებებოდით“. შემდეგ შემხვეწნენ: პალტოები და ქუდები დაგვიხსენი, თორემ სკოლის უფროსი დაგვსჯის და სამ დღეს ბნელ ოთახში ჩაგვკეტავსო. მეც წავიყვანე „მეტაჩკესთან, მაგრამ ყმაწვილებმა ვერ იპოვნეს იგი.

მოწაფე ერისთავი გადავეცი იმის ნაცნობს და მეზობელს ივანე სიდაქაძეს, რომელიც დამპირდა დაუყოვნებლივ პატრონს ჩავაბარებო.

მიკვირს, ასეთი თავგასულობა სასწავლებლის ზედამხედველის ბ-ნ პაპოვისა, რომელმაც ამგვარი ბრძანება მისცა მეტლეს და მცირე წლოვანი გაძარცული ყმაწვილები ქუჩაში გაჰყარა. საჭიროა ვისი მოვალეობაც არის, ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას. მე-კი მოვითხოვ ბ-ნ პაპოვს, დაუყოვნებლივ გვაცნობოს „მეტაჩკის“ ვინაობა.

ვლადიმერ გოგობერიძე.

---

*) ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო ამ წერილს ჩემ სახელსა და გვარს ვერ ვაწერ. თუ ბ-ნი ართმელაძე მოისურვებს წერილის ავტორის ვინაობის გაგებას, ვსთხოვ რედაქციას გააგებინოს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. გ. ჯაბადარი.

განცხადებანი

მორთული და მოწყობილი ნომრები

„ლივადია“

ქალაქის შუაგულში, სახაზინო თეატრის გვერდით, თეატრის შესახვევში, მშვენივრად მორთული და მოწყობილი ოცი ოთახი. იძლევა დღიურად ათი შაურიდან ნომერი და თვიურად 12 მანეთიდან და მეტი.

სისუფთავე და თავაზიანი მსახური. (2—2)

დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში „ხსნის“ ამხანაგობის გამოცემული პირველი წიგნი

ივ. გომართელის

ჯუზეპე გარიბალდი

ფასი ორი შაური

ვინც ნაღდად ოცს ცალსა და მეტს იყიდის, დაეთმობა: ტფილისში 6 კაპ., ტფილის გარეთ გაგზავნით 7 კაპ.

წიგნის საწყობი—„ჯეჯილის“ რედაქციაში, არტილ. ქ. № 5. (10—6.—9)

✦ კბილებს ✦

ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ელლოვენურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ. № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—19).

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

მსწრაფლმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. განქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 372.